


ივედი

1882

წელიწადი მეორე

№ V, მაისი.



თბილისი
მ. როტინიანცის და კომპ. საბეჭდო
1882



მაისის წიგნის შინაარსი:

- I. საფუძვლები სახალხო გა-
ნათლებლისა ნიკო სიზანოვისა.
- II. სიტყვა და საქმე (დასასრული) შხედისა.
- III. შური (აქსი) სანდროსი.
- IV. ჩემ შვილს (აქსი) გიორგისა.
- V. განთიადი (წომასი) (გაგრძელება) შაქროსი.
- VI. გულის-სწორს (აქსი) სანდროსი.
- VII. კინტოობა «შრ.ომაში» სტ. ჭრელაშვილისა.
- VIII. «იმედის» კორრესპონდენცია
(საფუელი ურიათუხანი) ურიათუხნის გულშემა-
ცივარისა
- IX. შინაური მიმოხილვა (თავად-
აზნაურთა კრების / თაობაზედ) ცა. ცაღასი.
- X. უმთავრესი კორრექტურუ-
ლი შეცდომილებანი კორრექტორისა

ი მ ე დ ი

სალიტერატურო და საპოლიტიკო

ჟურნალი

წელიწადი მეორე

№ V, მაისი.

28

თბილისი

მდ. როტინიანცის და კომპ. სტამბა.

1882





საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

გვ. 100

1882

Дозволено цензурою 21. Мая 1882 года, Тифлисъ.





საფუძვლები სახალხო განათლებისა.

I

რაც ჩვენ მწერლობაში სახალხო განათლებას უწოდებდა და ბასი უფიქროსი, იმდენი არც ერთ საგანს წილად არ რეკებდა. სწორედ რომ სახალხო განათლებას უწოდებდა დროების უსაზღვროდ მათხრობისათ შიგნით. ვისაც კი აიღებოდა — უმეტესს თუ მეტეს — ეკუთვნოდა სტადიუმის კეთილი სახელი და მამულის-შვილობა ამ საგანს უწოდებდა ბასით და იმისათვის. ეს წმინდა საქმე ჩვენში მოდით გადაიჭრა, ამ მადის წინ უკეთესი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა კვლავ უწოდებდა, უსაზღვროდ და სხვებს თავს აწინებს. ამ საზოგადოებრივ მოვლენას ერთი კანონი და საქმეები მხარე აქვს. ეს მოვლენა გვიჩვენებს, თუ რა განსაკუთრებულად ჩვენი საზოგადოებრივი აზრი, რას ელტვის ჩვენი ერთგული გრძობა... სჩანს, რომ ჩვენმა საზოგადოებრივ კამოცილებმა თავლები მოიფუძნია, აქეთ იქით ტყუარ და-

იწყო და ბოლო დღეს გაიგო, თუ რა უფრო საჭიროა ჩვენ განათლებისათვის. მაგრამ ის კი ძრეულ სამწუხარო და მავნებელია, რომ ასეთი მძიმე და საფუძვლიანათ შესწავლის ღიხსი კითხვა, როგორც სახალხო განათლება, სასოგადოების უმეტესი ნაწილისთვის სასიამოვნო მასალათის საგნად გარდაიქცა და კვლეულობის ფერტი დადო. ეს პირ-და-პირ კვირვებებს — თუ რა უღიხსობა და უწესობაა ჩვენ სასოგადოების აზროვნებაში. ხშირად შევხვდებით, რომ ერთსა და იმავე ადგილას ერთი და იგივე პირი ათ ნაიხათ შესტყლის თავის მსჯელობას სახალხო განათლებაზე: პირველად ასე გოონიათ, ვითომც ჩვენში აზროების ბრძოლასა და ხამდვილი წადილი ჭეშმარიტების ძუნისა და იმის შიდებისა. ანა, თუ დინჯათ გასინჯეთ ეს სასოგადობრივი აზრის მოძრაობა, იმაში უთავბოლო ლაპარაკის მეტი ანა გამოჩნდება რა.

მეორე მოკლეა ჩვენ ცხოვრებაში სახალხო განათლების შესახებ მდგომარეობის იმაში, რომ ყველგან და ყოველთვის ვხვდავთ ასრეთ წოდებულს ეროვნულ თუ პატრიოტულ შესედულობას. ყველა ჩვენგანი ერთსა და იმავეს ამტკიცებს: ხალხის განათლება ხალხის ენაზე უნდა იყოს. ამ სახანხო აზრის დასამტკიცებლად ბეერი მელანი დაიღვარა, ბეერს გალამს მოსტუდა წვერი, მაგრამ ეხლაც თითო-ოროდამ ძლივს გარკვევით იციან საფუძვლები ამ ჭეშმარიტებისა. უმეტესი ნაწილისათვის ეს ჭეშმარიტება გასეპირებულ ფორმულათ შეიქნა, დოღმატათ გადაიქცა. თუ რა ისტორიული ანუ იურიდიკული საფუძვლები აქვს ამ დოღმატს, ამ ფორმულას — ამას არ დაძებენ. ეს ვითომც საჭირო არ არის — ხომ ვინით შეუწყველი და ძალ შემოხილი დოღმატი, მეტი რაღა საჭიროა! მკითსველისათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ამ დოღმატიურ შესედულ-

ლობამ დიდა ვნება მოიტანა ჩვენში. უკვლავ ჩვენგანმა გაიხსენ-
და ჭეშმარიტება და საფუძვლების შესწავლას გი ურჩი არ უგ-
და. ამისთვისაც თითონ ჭეშმარიტებამ ცხოვრებაში დაჭკარვა
თავისი გამაცოცხლებელი ძალა და ის ნაყოფი არ მოგვცა ჩვენ,
რომელსაც მოველოდით. ან რა ჯეროვან ნაყოფს მოიტანს ის
ჭეშმარიტება, რომელიც ერთის მხრით კვლევების მასალათ
აქვს საზოგადოების უმეტეს ნაწილს მიღებული და, მეორეს
მხრით ამ ჭეშმარიტებას უყურებს, როგორც დღემაც და არა
ისეთ ჭეშმარიტებას, რომლის გასაგებებად ჯერ საფუძვლები
არაა ღრმად შესწავლის ღირსნი. თუ მართალია, რაც ზემოთ
ვთქვით, ჩვენ ესაა პირ და-პირ ამ საფუძვლების განსიძველ-
შეკუდებით.

II

სახალხო განათლება ძველმა ბერძნულ-რომაულმა ქვეყ-
ანამ არ იცოდა და არც შეიძლება, რომ სცოდნოდა. მკითხვე-
ლი, რომელიც აღზრდილია იმ აზრში, რომ ძველი ათინა და
რომი იყენენ უმთავრესი წყარო კაცობრიობის განათლებისა,
ჩვენს აზრს გაიკვირებს. მკითხველს უთუოდ ისე ჭკონია, რომ
სახალხო განათლება პირველად დაიწყო დემოკრატიულ ათინაში
და იქიდან მერე რესპუბლიკურ რომში გადავიდა. შემდგომ
ბრძანდები, ჩემო მკითხველო. **სახალხო განათლება მხოლოდ**
მაშინ შეიძლება ცხოვრებაში დაარსდეს, როდესაც საზოგადოებრიუ-
ლი თუ სახელმწიფო ცხოვრება ასწავლებულია იმ საძირკველზედ,
საცა სწავლის თავისუფლება უკვლავ წოდებას აქვს მინიჭებული.
შორს წასვლა საჭირო არ არის. ავიღოთ ჩვენი ცხოვრება. სა-



საღვთო განათლება ჩვენში თან მოჭკვება ბატონ-ყმობის მისწობას. ბატონ-ყმობამ ან იცოდა ზიზღიანი თავისუფლება და ამისთვისაც არც სასაღვთო სკოლა იცოდა. უკანასკნელი დაიწყო მაშინ, როდესაც ზიზღიანი თავისუფლება ცხოვრების განაღოთ შეიქმნა. ამისთვისაც ისტორია გვიჩვენებს, რომ სასაღვთო განათლება მაშინ შეიძლება, როდესაც უკვე საზოგადოების წევრს ზიზღიანი თავისუფლება აქვს მინიჭებული და იმ თავისუფლებით სარგებლობს. თუ ერთს რომელიმე წოდებას სახელმწიფოში თუ საღვთოში აქვს თავისუფლება და სხვა გვარი უფლება, დანაშაულის კი ქვედებისა, მონაბის და მონაბის მეთი ხელში არა უჭირავს რა, მაშინ სასაღვთო განათლების განაღოთ ცხოვრებაში სრულებით შეუძლებელი საქმეა. როგორც ზემოთ ვსთქვით, ბერძნულ-რომაულმა ქვეყანამ არ იცოდა, რა იყო სასაღვთო განათლება, რადგან იმ ქვეყანას ზიზღიანი თავისუფლებისა სრულებით არა გაეგებოდა რა. მართალია, ბერძენიც და რომაელნიც გონებით განვითარებულნი იყვნენ, სავსენი ყოველგვარი განათლებით, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ძველ განათლებას არისტოკრატიული ხასიათი ჰქონდა, საზოგადო-წოდებრივი მიმართულება. ძველ ქვეყანაში ასრეთ წოდებული დაბალი ხალხი მოკლებული იყო ყოველ-გვარ თავისუფლებას და სწავლა-განათლებას. მეორეც ესა, რომ ძველ ბერძენს თუ რომაელს გარკვევით ესმოდა მარტო-მარტო პოლიტიკური სახელმწიფოს თავისუფლება; ის ამ თავისუფლებას მეტათ მადლს აყენებდა, მეტათ ძვირ-ფასად რაცხდა. ბერძენის თუ რომაელისთვის საჭირო იყო მარტო ის, რომ იმას ნება ჰქონოდა თავისუფლათ ელახარაგან სახელმწიფო საქმეზე და მონაწილეობა მიეღო იმ საქმეებში. კარგი ცხოვრებაში თავისუფლებას ის საჭიროდ არა რაცხდა. ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ მაშინ-

დედი პოლიტიკური თავისუფლებას ერთს რომელსავე და წმინდებისავე წოდებას შეიცავდა და არა მთლათ ხალხს. უმრავლესი ნაწილი ხალხისა, დაბალი ხალხი მოკვებულნი იყვნენ რომელიმე პოლიტიკურ, ისე პირდაპირ თავისუფლებას და წარმომადგენელს ერთს მრავალ-წევროვან წოდებას, რომელსაც ერთათ-ერთიდა უფლებას ჰქონდა — მონება!

როგორც ვსთქვით, ძველმა ქვეყანამ პირდაპირი თავისუფლებას არ იცოდა. პირი, პირდაპირი მსხვერპლი იყო სახელმწიფოსი. ყოველივე კერძო კაცი ცხოვრობდა იმისათვის, რომ ის საჭირო იყო სახელმწიფოსთვის, იმის მიზნების შესასრულებლათ. სახელმწიფოს გარეთ ყველა, დიდი თუ პატარა, გვაროვანი თუ უბრალო ჩამამაკლავდა, თავის კერძო ცხოვრობაში, ნამდვილათ მონა იყო. ამ გვარი პოლიტიკა — სოციალური წყობილება არა თუ მარტო ცხოვრობაში იყო განსაზღვრებული, არა — შენობისა და თიხისათვისაც იმის აწვადიდან და ქადაგებდნენ. იმ დროს, როდესაც ბერძნებმა და რომაელებმა გასაკვირვებლათ შეიმუშავეს სახელმწიფო ცხოვრობის უკეთესი წყობილებანი, პირდაპირი თავისუფლებისა კი ვერც ვაიბეს არა და დაბალი ხალხის მონება შეურყეველ ჭეშმარიტებათ აღვიარეს. არისტოტელი ამტკიცებდა, რომ მონება საჭიროა და განუყოფელი მიზეზი ამ საჭიროებისა კაცის ბუნების განსხვავებაშია!

თუ მკითხველი არ დაივიწყებს იმ აზრს, რომ სახალხო განათლებისათვის საჭიროა პოლიტიკურ თავისუფლებასთან პირდაპირი თავისუფლებაც, მაშინ ადვილათ ვაიბეს, რომ ის განათლება კერძოებაში დააჩნდა უკანასკნელ დროს, კერძონიაში რეფორმაციის შემდეგ, ჩვენში დაშორებით უფრო ვაიბენ, თითქმის ამ უკანასკნელს დროს, ბატონ-ყმობის მოსპობის შემ-

დეგ. შიშველად რეფორმაციის იყო მშობელი სახალხო სკოლისა. მაგრამ სახალხო განათლების შესახებ რეფორმაციას უფრო ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონდა. რეფორმაციისაგან დაწყებული საქმე განაგრძელა კრიტიკულმა მეთოვანებმა საუკუნემ, რომელმაც თავიდან ბოლომდისინ გადმოხატუნა ძველი ცხოვრების საფუძვლები, შეუბრუნებლათ დათუშა და შემუშავა უწინდელი წესები და ცხოვრების წესობა, ფართო და მკვიდრი ადგილი მისცა კაცის ზიარებას, სამუდამო უარ-ჰყო წოდებრიული მიმართულება. მეთოვანებმა საუკუნის კრიტიკას ხელში ეჭირა ხალხის და არა ერთი რომელიმე წოდების თავისუფლება, საზოგადოებრივი და ზიარებული თავისუფლება. ზირ-და-ზირი შედეგი ამ გვარი მიმართულებისა უნდა უფროდ იყო სახალხო განათლება და სწორედ ასეც მოხდა. /მეთოვანებმა საუკუნემ დაარსა სახალხო განათლება და იმას საზოგადოებრივი მიმართულება მისცა. წინათ, ამ კრიტიკულ მოძრაობამდის, ევროპაში სახალხო განათლებას, რომელიც ძველ ბერძნულ-რომაულ ქვეყანაში, ჰქონდა წოდებრიული მიმართულება.*) რომელსაც ევროპის არზიარებამ გამოიკვლია, რომ სახელმწიფო უნდა იყოს მთელი ხალხისთვის და არა რომელიმე წოდებისათვის, მაშინ ამ გამოკვლევის შედეგათ აღმოჩნდა სახალხო განათლება.

წინათ თეორეტიკულ ზედგოგონას ისეთი მიმართულება

*) გამოჩენილი უტეინი, ერთი ღრმით მცოდნე პირთაგანი ხალხის თვით-მმართველობისა, სამს ნაირათ გაჰყოფს ხალხის განათლებას: საოჯახო წესობილებას შექმერის ფიზიკური აღზრდა, წოდებრიულს—ხელოსნური, პროფესიონალური, სახელმწიფოს—სახალხო.

ქონდა, როგორც ცხვენებს შეეყვანებოდა — თუცა ნაბიჯით მისდევდა ჰრაკიკას, ცხვენებს. მეტრამეტე საუკუნეში იყო, როდესაც გამოჩენილმა უან-უაკ რუსსომ გასაცარი სითამა- მით და მჭერ-მეტყველობით სამუდამოთ დამაჩნა ძველი პედა- გოგიური სისტემა, შეუზღუდათ და მკათილოთ აჩვენა ყველას სახალხო განათლების საჭიროება. ერთხელ აღძრული კითხვა აღარ შეჩერებულა ერთ წუთსაც. რუსსოდგან დაიწყო ასაღი ხა- ნა აზრებებისა...

თუ მკითხველი თანხმა ჩვენთან ამსუდ, უნდა დაგვეთანხ- მოს, რომ სახალხო განათლებისათვის საჭიროა პირველადი და საზოგადო-პოლიტიკური თავისუფლება. მხოლოდ ამ გვარ თა- ვისუფლებამა შობა ევროპაში სახალხო განათლება და როდესაც ის თავისუფლება არ იყო, მაშინ არც სახალხო განათლება ყო- თიდა. ამ მიზნის გამო სადაც განივრულათ უნდათ გამართვა სახალხო განათლებისა, იქ საფუძვლათ უნდა მიიღონ თავისუფ- ლება, რომელიც ჩვენ ვუჩვენეთ, და ამ საფუძველზე დადგან მკვიდრი და თანთა შენობა, სადაც მთელი ხალხის თუ ერის გონება უნდა მოძრაობდეს. ამ აზრის სიმართლეს გვიმტკიცებს ისტორია და ისტორიულ კანონს ხომ ვერსად წაუვათ.

III

...ეს ყველასთვის ცხადია. ვერც ერთი მოწინააღმდეგე, თუ კი იმას გულ-წრთვლობა ექნება, ამის უაქს ვერ იტყვის. ყველას ჩუმათ თუ აშკარათ, სწამს ამ აზრის ჭეშმარიტება, ყვე- ლა ბანაკის კაცს დედამატათ მიანნია ეს ჭეშმარიტება, მაგრამ უბედურება ეს არის, რომ ყველა ბანაკს თუ პარტიას თავისე-

ბუნება უსმის და მიახნია თავისუფლება, ეს თავისუფლებას უნდა და საჭიროთ მიახნია თავისთვის, — სხვებისათვის კი ეხანება და შუიანს. სამწუხაროთ, აქედანაც წარმოსდგა ის პრინციპიალური კითხვის დამახინჯება, რომელმაც სასაღვთო განათლებაში გაიღვა ფუკი. ერთნი ამტკიცებენ, რომ ყოველივე წოდებას განათლების თავისუფლება უნდა ქქონდეს, მეორენი — ამ გვარნი თავისუფლება უნდა ჩაბარდეს სახელმწიფოს, რომელიც კითხვებზე ხელის გონების მოვარკული და მზრუნველია და ამ გონების მოძრაობის გამგებელი, მესამენი ითხოვდ კიდევ, რომ საზოგადოთ ხელს უნდა ქქონდეს თავისუფლებას განათლებისა და ანა სახელმწიფოს ან რომელიმე წოდებას. ამ გვარ ანუ უს პრინციპიალურ კითხვას თავისი მიზეზი და საბუთები აქვს. იყო დრო (ეკონომიაში, საშუალო საუკუნეებში) რომელსაც ხელის (და ანა სახელს) განათლებას წოდებრიული მიმართულება ქქონდა იმ დროს განათლება თითქმის მარტო მონასტრებში მოაზრებოდა და ანისტოკრატული მონასტრული ბეჭდი აჯდა. იყო ერთი დროც (მეთერთმეტე საუკუნეების საფრანკეთის დიდ აჯანყებამდინ), რომელსაც სახელმწიფომ ჩაყვანა რომელიც ცალკე კანის პირფრება, ისე საზოგადო წოდებანიც. მაშინ თავისუფლება მარტო სახელმწიფოს კვინა ხელში. ამ გვარ სისტემას უწოდებენ პოლიტიკულ სახელმწიფოს სისტემათ. უკანასკნელათ, მეთერთმეტე საუკუნის ნახევარს, თეორიითიკულათ და იმავე საუკუნის დასასრულს საქმიანთ დანიყო ანალი მიმართულება განათლების მიმდინარეობაში, — ა) გვარნი ისტორიული გარემობას იმის მიზეზი, რომ ჯერაც ვერ გამოურკვევიათ გადაწყვეტით და ვერ დათანხმებულან — თუ რომელი უნდა დანიყოს სახელს განათლება. ყოველივე პარტიის თავის ისტორიულ ტრადიციას და უფლებას მისდევს, ანა უნდა

რა შიშველად თავის უფლებას, შემთხვევითი ისტორიული
გაჩქარება ანის მიხედვით, რომ ჯერაც ვერ ანის სასოგადო ან-
რათ მიღებული ის მარტოვე ჭეშმარიტება, რომ სახალხო გა-
ხათლება უნდა იყოს თითონ ხალხისათვის და არა რომელიმე
წოდებისთვის თუ პოლიტიკური პარტიისათვის, ან არა და—
სასჯელმწიფოს მიზნების შესასრულებლათ. რომელიმე «პარტიუ-
ლი» შეხედულება სახალხო განათლებას ამახინჯებს, ნამდვილ
მიმართულებას უგარტავს; ასე არის ჩვენ დროს ევროპაში და
წინათაც ასე ყოფილა. აქ მოიხრება მიხედვით, სხვათა-შორის,
იმ მოკლეისა, რომ აქამომდე დემოკრატია ასე დაჩაგრულია
ევროპაში...

საკვირვებელია, ყველა ითხოვს სახალხო განათლების თავის-
უფლებას, ისიც, რომელსაც სხვა შემთხვევაში თავისუფლება
ჯოჯოხეთად მიანია, და ისიც, რომელიც ქვეყნიურ სამართებს
ამ თავისუფლებაში ჭკობებს. ყველა ითხოვს, მაგრამ ყველას ვი
პირველათ სახეში აქვს ასეთი თუ ისეთი წინათ-შედეგინილი შე-
ხედულება, რომელიმე პოლიტიკური სისტემა, ისტორიული
თუ პოლიტიკური ტრადიცია. ნამდვილი სახალხო განათლებისა
ვი არავის უნდა გაიგოს... თუ ეს ასე არ არის, მაშ რისთვის
მოხდება ხოლმე, რომ რომელიმე ლიბერალი, მაგ. ავსტ-
რიელი, უვარის — ნემეტურ სკოლაში თავისუფლება უნდა იყო-
სო და, რომელსაც იმას შენიშუნას მისცემს — მაგნიანი თავის-
უფლება სლავიანების სკოლისათვისაც საჭიროა, უარს ამბობს!...
ამ გვარი «ხამელეონობა» სახალხო განათლების საქმეში შეტათ
მავნებელია. ხალხის თუ ერის გონების თუ გრძნობების დამა-
ხინჯებაზედ ძნელი და საშიში არა არის რა. იაფათ არც ერთ
სასჯელმწიფოს თუ წოდებას არ დასჯდომია ხალხის გონების და
იმის გრძნობების გარყვნა და დამახინჯება და ამას, კვლავ

ხედავს ავსტრო-გერმანია, რომელსაც სლავიანების აჯანყება
 ძილქიც კი ელანდება! განა უფრო სასარგებლო არ იქნებოდა,
 რომ სახალხო განათლება ეროვნულ თუ ხალხოსნურ ნიადაგ-
 ზედ იყოს აშენებული და ხალხის საჭიროება ჭქონდეს მიზნით?
 მაგრამ, ამბობენ: «სახალხო განათლება უნდა ხელს უწყობდეს
 სახელმწიფოს თვით-დაცვას; ეს არ მოხერხდება, თუ ეროვნე-
 ბას ადგილი ექნება სახალხო განათლებას». ეს აზრი სრულ-
 ლებით უსაზროა. სახელმწიფოს ერთობა, სახალხო განათლების
 დამსახურებით, ამ განათლების დამონავეებით რომელიმე პოლი-
 ტიკური სისტემისადმი და ეროვნობის უარ-ყოფით არავის
 შეუხანავს. ამ გვარ მოქმედებას სულ წინააღმდეგი შედეგი ჭქო-
 ნია. აიღეთ იგივე ორთავენი ავსტრო-გერმანია. ნეტარ ხსენებუ-
 ლი მუტერნიხის სისტემა იმაში მდგომარეობდა, რომ დაეცვა
 სახელმწიფოს ერთობა; სისტემა სდევნიდა თავისუფლებას,
 ეროვნობას ყოველ-გვარ საზოგადოებრივ მოკლენაში. ამ გვარმა
 პოლიტიკამ კინაღამ ბოლო არ მოუღო სახელმწიფოს. საწ-
 ყალი ავსტრია საგვიდელიდან თითონ რუსეთმა გამოიხსნა...

IV

შემთხვევით მოყვანილი აზრები გვანებებენ, რომ სახალხო
 განათლება დაუშინებელი უნდა იყოს თავის საკუთარ კანონებ-
 ზედ. არც ერთ გარეგან მიზეზს არ უნდა მისდევდეს. იმის მი-
 ზისი ხალხის სულიერი თუ ბუნების გაუმჯობესობაში უნდა
 იხატებოდეს. სახალხო განათლება მთელი ერის თუ ხალხის,
 როგორც საზოგადოებრივი სხეულისა, ფიზიკოლოგიური მოკ-

ლენსა*)). ამ მოკლენას თავის საკუთარი განხრები აქვს, თავის მიზანი. თუ ეს განხრები და მიზანი შესწავლეს, მაშინ თითონ ფიზიოლოგიური მოკლენაც დამახინჯდება, თავის ძალას დაჰკარგავს და საზოგადოებრივი სხეული, ე. ე. ერთი ავით მყოფი შეიქნება. შეითხველმა უნდა იცოდეს, რომ როგორც ყოველივე კერძო კაცი შეიძლება საღათად იყოს და ავითაც, ეგრეთვე მთელი ხალხი თუ ერთი შეიძლება ავით-მყოფიც იყოს და კარკათ-მყოფიც. ერთსა-და-იმსვე შემთხვევაში თითქმის არავითარნიმე ფიზიოლოგიური ან პათოლოგიური გარჩევა არ არის. მეცნიერება საზოგადოების ცხოვრებისა (общественная наука) ესაა ამ ჭეშმარიტებას მისდევს და ჩვენც ეს უნდა ვიქონიოთ სახეში, როდესაც სახალხო განათლებაზე ვლაშქრობთ. თუ სახალხო განათლება საზოგადოებრივი სხეულის ბუნებითა, ფიზიოლოგიური მოკლენაა, მაშ პირველი განხრები ამ განათლებისა უნდა იყოს ხალხისური, ერისნული მიმართულება. მხოლოდ მაშინ განათლების განხრები დააკმაყოფილებს, ერთის შინით, ისტორიულ ჭეშმარიტებას, მეორეს—ხალხის სულიერს, ზნეობითს აჩსებს. წინააღმდეგ შემთხვევაში სახალხო განათლება პირ-და-პირ ტყუილ გზაზედ იქნება დაყენებული!

ყოველივე ცალკე კაცი უნდა აღიზარდოს ისე, როგორც ამის ბუნება ითხოვს... ამ აზრის დასამტკიცებლათ ჩვენ შეგვიძლიან ბევრი საბუთების წარმოდგენა, მაგრამ აქ მარტო ერთს საბუთს მივამტკიცებთ შეითხველის ყურადღებას. არ მოიზოგება ისეთი ხალხი თუ ერთი, რომელსაც ერთი რომელიმე კარგი მხარე არა ჰქონდეს, რომელიმე დიკსებით მაღლა არ იდგეს სხვა ხალხზედ. რაც უნდა დავიწყებული და თვალ ყურ

*) იხილე ფრანცის „სახელმწიფო ფიზიოლოგია“.

მომხრებულნი კრი ხილეთ, თუ კი იმის ვინაობასაც ცნობენ და დააკვირდებით, უკვე აღად ერთს ძანინც ისეთს თვისებას იპოვნი, უხეობათს, თუ გონების, რომელითაც ის მარგალიტით გამოსწავრიტავს... ეს ობოლი მარგალიტი უფველივე ისტორიული კრისა, ეს ხალხის «გენია» დიდათ პატრიუ-სატემი და უუქადლების დიქსია და ნეტავი იმ სახელმწიფოსაც, რომელიც ამ პატრიუტემს და უუქადლებს არ ივიწყებს!... სახელმწიფოს საზღვრებს ითხზვს უველად კრის განათლებას, რადგანაც ამითა იმას ძალა და უზრგოტისიული მოძრაობა ემატება. სახელმწიფოსათვის, უფველ შემთხვევაში, მუტათ საჭიროა. ისეთი სახალხო განათლება, რომელიც სხვა-და-სხვა კრის კარგ დიქსებას და თვისებას წინ წაყენებს, ასპარესზე გამოიყვანს და მოქმედ ძალად გასდის. ეს მაშინ შეიძლება, რომელსაც თითონ განათლება «ეროვნულ ნიადაგზე» მკვიდრათ ექნება ამ ნებისუღი!...

ამ ბოლო დროს ეს შეცდომა გასწორეს ზოგიერთ კვრახის სახელმწიფოებში და, სხვათა შორის, თითონ მრავალ-ეროვნანი ავსტრიაც კი მიხვდა, რომ «სლავიანების ნემეცებათ გადაკეთებით» კარგი არა დაიბადება-რა. ამ სამეფომ თავი დაანება მეტეკნიხის სასტემს, რომელსაც შიშის და ელდის მეტი არა მოჰქენდა რა. ისტორიულ ჭეშმარიტებამ და მეცნიერებამ გზა გაიკვლიეს და ნელა-ნელა ადგილს იჭერენ ცხოვრებაში. ეროვნობის თავისუფლება, სახალხო განათლებაში თუ სხვა-გვარ ცხოვრების მოუფენაში, რომელიც ამ მეცნიერების ნაყოფია, მაგარი, თუმცა კი წუნარი, ნაბიჯით საზოგადო ასპარესისაკენ მიეშუქება... ეს ახალი ძალა იზიდავს საზოგადოების უვეთესი ნაწილის წარმომადგენლების სულსა და გულს,...



V

როგორც ზემოთ ვსთქვით, უკანასკნელ დროს .. უწინდელმა გერმანიის პოლიტიურ მეცნიერებებმა დაკარგა თავის გაკლენა სახელმწიფოს ცხოვრებაში. ეს პოლიტიური მეცნიერება, როგორც მკითხველსაც ეჩვენება, ყველგან და ყოველთვის იმას ჰქვამდა, რომ სახელმწიფო რაც უნდა მრავალ-ეროვნად იყოს, ერთს საკუთარს და თვით-მეოფს პირს წარმოადგენს და ამისათვის ყველა ერთი, როგორც ნაწილი სახელმწიფოსი, ყოველ შემთხვევაში მოწილი უნდა იყოს ამ უკანასკნელისა. ამ მეცნიერებებში, რომელსაც მეტადრე გერმანიაში ბევრა სახელ-ვანთქმულნი მომხრენი ჰყავდნენ, სრულებით არ იცოდა, ანუ უმჯობესია ვსთქვათ, არა სურდა სცოდნოდა, ეროვნული თავისუფლება სახალხო განათლებაში; სრულს მოწილებას ითხოვდა სახელმწიფოსადმი, ყველა ერთს ერთის ადგილთ ზომავდა, ერთ კალაპოტში აყენებდა. სად იყო ეროვნული თავისუფლება, ერის თვით-მოქმედება?! თუ შინა ამ თავისუფლებას და თვით-მოქმედებას ითხოვს როგორც ბუნება, ისე ისტორიული კანონიც! მკითხველმა არ უნდა დაივიწყოს, რომ ზემოხსენებული პოლიტიური მეცნიერება პირ-და-პირ ცხოვრების საჭიროებისგან წარმოსდგა, კანონიერი შვილი იყო კვრამას საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარეობისა და ამისათვისაც თუ უწინ ჰქონდა რაიმე ფაქტიური მნიშვნელობა, ესლა ისტორიული ტრადიციის მეტი არა მოეპოვება რა. როგორც ვიცით, ფეოდალიზმმა კვრამაში აურიგ-დაურიგა სხვა-და-სხვა ერის თუ ხალხის წოდებანი, უწესობა და წოდებრიული ბრძოლა სკრულათ და კანონათ დასდო. ამ კვარი მდგომარეობა დიდ-ხანს კერ გასტანდა და

არც ხან-გრძლივი სინტონის ძალა ჰქონდა. ვერც თითონ ხალხ-
 ზი შეუძლებდა ამ გვარ ცხოვრების წეობილებას, ანუ, უმჯობე-
 სია ვსთქვათ, ამ უწეობილებას და უწესობას. ფეოდალიზმის
 თან მოჭყვია პოლიტიკური სახელმწიფო, რომლის პირველი
 მიზანი მდგომარეობდა იმაში, რომ ხალხის სუფიერი თუ სხვა
 უფლებს დაემორჩილებინა ერთი ძალისათვის, რომელსაც მაშინ
 სახელმწიფო ძალას უწოდებდნენ. ამ ძალის ავლადიება მო-
 ჩილება იყო. ერმა უნდა თავი დაანებოს თავისუფლებას და
 მისკერპლათ შესწიროს თავი სახელმწიფოს, რომელც თავი-
 მშვიდობელ პირსა — აი რას თხოულბდნენ მაშინ და რას ქა-
 დაგებდნენ პოლიტიკური მეტნიერების წარმომადგენელნი! პოლი-
 ტიკური სახელმწიფო (полицейское государство) ხალხის ცხოვ-
 რებაში დაუერთსავთ ერეოდა და ყოველთვის მოჩილებას ით-
 ხავდა. ამ მიმართულებამ სრულებით დამახინჯა ხალხის სული,
 იმის ბუნება, ავთ მყოფობა გაუჩინა მთელს ხალხის სხეულს.
 პოლიტიკურ სახელმწიფოს შემდეგ დააჩნდა ასრეთ წოდებული
 კანონიერი ანუ თავისუფალი სახელმწიფო (правовое госуд-
 арство). უკანასკნელმა თავის სახელმძღვანელო პრინციპათ ერის
 თავისუფლებს მაიღო, თუმცა სრულებით კი არა და თუ
 სხვა-და-სხვა ადგილას მეტნაკლებათ. ამ მეტნაკლებობას ყველ-
 ვერაზიის სახელმწიფოში ვხედავთ და ეს ერთს სასარკებლად
 და მიბაძვის ღირსს მაგალითს გვიჩვენებს — სადაც ხალხის გა-
 ნათლება უფრო ფაჩთო თავისუფლებასედ არის დაუქმებუ-
 ლი, იქ სახელმწიფოც და ხალხიც მთელს და საღს სხეულს
 წარმოადგენს; მაშასადამე, ერთნული თავისუფლებს თითონ სა-
 ხელმწიფოს საჭიროებაში და ცხოვრების მიმდინარეობაში გამო-
 ყვანა ასპარესზედ და თუ სახელმწიფოს სიმრთელე და იმის
 კეთილ-დღეობა, რომელც ისტორია გვიჩვენებს, ამ თავის-



უფლებად აჩის და კიდევ უნდა იყოს დამაკვიდრელი, თითონ სასულემწიფოს ჰიერკული ვაღია—ჯერჯერანი ადგილი მისცეს მას ცხოვრებაში. რომ ცხოვრებაში განსოცოილდექ და მკვიდრომ დამკარდექ. უმთავრეს მისეხათ უნდა ჩავკაცოთ ისტორიული ტრადიცია, ის შეცდომილება, რომელიც მკულ ბეჭმენ-რომაქლებიღვან მომდინარეობს...

VI



თუ შეითსკული დაჭკვირვების სახალხო განათლებას ევროპის გონებით დაწინაურებულ და განვითარებულ სასულემწიფოებში, ადვილათ დინახავდა იმ განჩვევას, რომელიც განათლებას ეტეობა ჰიერკული შეხედულობით სხვა-და-სხვა სასულემწიფოებში. საზოგადოებრავ ცხოვრებას, სასულემწიფოს წყობილებას და საზოგადოთ ისტორიული ცხოვრების მომჩინებას ღრმათ დაუსვამს თავის ბეჭედი სახალხო განათლებისათვის. ამ მისეხის გამომ ჩვენ შეგვიძლიან დავასახელოთ ასეთი თუ ისეთი სისტემა სახალხო განათლებისა მთელ დასავლეთ ევროპაში და დაწვევით ვსთქვით—ამა და-ამ ხალხს თუ სასულემწიფოს ესადა-ეს სისტემა აქვს. მთელი დასავლეთი ევროპის სახალხო განათლება შეიძლება სამ გვარ სისტემის ჩაჩროში მოთავსდეს. თვითოეულ ამ სისტემას თავას თერი და მიმართულება აქვს, თავის ბეჭედი აჩის. ერთი სისტემა ევროპის თრანსკრესებს და თავის ვაკვეულ გზას ადგას. ამ სისტემის სული ადმინისტრატორული ცენტრალიზაციაა; ამისათვის შეგვიძლიან სახლათ ვუწოდოთ მას «ადმინისტრატორული ცენტრალიზაციის სისტემა». ასე ვასინჯეთ, სახალხო განათლება საფრანგეთში ადმინი-

სტრატეგიული უფლების ანუ მეცნიერების საგანია. შეითხვეულს ეცოდინება, რომ საფრანგეთის საზოგადოებრივი და ისტორიული ცხოვრება წარმოადგენს ერთ შეუჩერებელ მოძრაობას. აქ ხელ-ხელა და შეუჩერებლათ სახელმწიფო სხვა-და სხვა წოდებთან თავისუფლებას ხელში იკრეოდან, თავის ძალის და ძლიერების გავრცელებას მისდევდა და კიდევ შესრულა ეს საქმე. ბოლო დროს სახელმწიფოს უფლება ერთ დიდ ძალათ გადაიქცა და ამ ძალამ ჩაკლანს საღხის თავისუფლებას. სახალხო განათლებისათვის ამ ისტორიული განათლების გავლენა ესტანს აშკარათ ეტყობა აქაც ყოველ შემთხვევაში სახელმწიფოს ეკუთვნის ხელმძღვანელობა და მზრუნველობა, საზოგადოების თვით მოქმედებაზე თითქმის ურყადლება არ არის მიქცეული. შესამე რესპუბლიკას ვითომც უნდოდა გაესწორებინა ეს შეცდომილება, მაგრამ ვერ მახერხა, რადგანც შემდეგში დგინდა. ჯერ კიდევ ბევრი დრო გაივლის, ვიდრემდისინ საფრანგეთი განთავისუფლდება თავის ისტორიული სენიდან, რომელსაც სახელათ ცენტრალიზაციის სისტემა ეწოდება...

სახალხო განათლების მეორე ტიპიურ მიმართულებას ვხედავთ ინგლისში. აქ ისტორიული მოძრაობა სულ სხვა ნაირი იყო. თუ საფრანგეთში ცხოვრებამ ხალხი პირ-და-პირ ცენტრალიზაციასთან მიიყვანა, ინგლისში სრულებით წინააღმდეგი მოკლენა მოხდა. ინგლისის ხალხის ცხოვრება, ისტორიული გარემოების მეორებით, მკვადრათ დაემყარა საზოგადოებრივ თავისუფლებასზე და პიჩველათვე ეს ცხოვრება შეუჩერებლათ ამ თავისუფლებას ეცტოდა. ამ მიზნებს გამო სახალხო განათლებისათვის საღხისური მიმართულება მიეცა. ინგლისის სახალხო განათლება წარმოადგენს საზოგადოებრივ თავისუფლების სისტემას. აქ პირველი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების თანხრო-

ბას, იმის თვით-მოქმედებას. სახელმწიფო არ ჩხირ-კედელაობს და არ ეკვიტება საზოგადო საქმეში რამოდენიმე წლის წინათ აქაც სახელმწიფომ დაიწყო სკოლას ფართობი სახალხო განათლებასში. მაგრამ საზოგადოებრივი თავისუფლება ისევ შეუწყველათა სდგას.

მესამე და უჩინარესი სისტემა უნდა მოვებნათ გერმანიაში. ეს გონებით დაკარგვიძებული მხარე ბუდვას სახალხო განათლებისა. დასაწყისი სოფლის სკოლისა აქ იყო რეფორმაციამ შობა სახალხო სკოლას და ამ სკოლის მამა-მთავარი ბრძანდებოდა ღიუტური, სასკოლოანი ღიუტური, რომელმაც სამუდამოთ დაამკობრა და ძმობილები გახადა ორნა უწინდელი მტერი — ეკლესია და სახელმწიფო. სახალხო განათლებასაც შეგობრობის დღი დაესვა, სახელმწიფო ეკლესიური მიმართულება მიეცა. გერმანიაში სახალხო სკოლას ხალხისა კი არა, სახელმწიფოსი და ეკლესიისა. ამ შეკავშირებულ ძმებს და შეგობრებს სკოლას უზრდის ერთგულ მოსამსახურეთა იქ (ე. ი. გერმანიაში) სუფიკს ავტორიტეტობის პრინციპი, რომელიც ეკლესიას ეკვიტება; იქ ყოველისფერი სავსეა მორჩილების გრძნობით ძალის წინ, იქ ვითომც სედავთ უსამზღვრო დამოუკიდებლობას არცის სამთვლობელოში, მაგრამ კი შესვლებით ჰასიურ მორჩილებას მოქმედებაში, — განონის, ჭეშმარიტების, სამართლის მორჩილებას კი არა, ძალის წინ მოდრეკას: იქ ღესობტიურათ უფლებს ბრძანება ✓(გიპზო, საზოგადოებრივი განათლება გერმანიაში, 1874 წ.). აი რა გზას ადგია და რა მიმართულებას ემსახურება სახალხო განათლება გერმანიაში!...

ნიკო ხიზანოვი

(დასასრული შემდეგში.)



X

სიტყვა და სიტყვა*)

Такъ точно воетъ ночи на пролетъ
Вся эта сволочь, выродокъ прогресса.

Байронъ

(დასასრული)

IV

სოსიკო მთლიანათ მიეტა ოცნებას, ხმა კვლავ ამოიღო კარგა ხანი. მეტ აღარ მინდოდა მისი ტკბილი სიჩუქე დამკრძვია და დავიწყე ჩემის მხრივ თქიქში დროების გატარებას. მაგრამ უნაყოფო არ იყო ჩემთვის ეს ჩაუიქრება. უვარგისი რამ კი არ მიტრიალებდა თავში. მე ვნდიღობდი მამკნელებსა უკულებუ ის მოკლარებანი, რომელნიც სოსიკომ გადაშალა ჩემ წინ. თითო მისი სიტყვა აღქვიდა ჩემ ტვინში და გულში ათ-ას ნაირ ახალ-ახალ მოსაზრებას, ახალი გრძნობები ერთი ერთმანეთზე ირეოდნენ მრთელ ჩემ არსებაში, ანუ უკეთ ვსტივათ, მთელ ჩემ სტომაქში. წინ მივდა ჭაბუკი უოკელისოვრივ სრული და ძალუმი. მე შემუსარიფებოდა ჩვენი ქვეყნის უკეთეს-თაგანი შვილი. ამიტომ დიდი უგულობა და უკუნურება იქნებოდა ჩემგნით, რომ მე არ მესაჩგებლსა სოსიკოს ნადაპარაკვიით და არ შემესწავლა ამ იშვიათი აღამიანის იშვიათი ზნენი.

*) დასაწყისი იხილე ,,იმედის“ 4 წიგნში.

მით მომეტებული ინტერესით გადავკვლე ფაქტები თქალეში სო-
სიგო თავ-დადებულის ნაშუასსა, რომ მე აქ დავინახე ჩემი აზ-
რის სიძარტლე, მე დავწმუნდი თვით სოსიგოს მაგალითზედაც,
რომ ყოველი თავ-დადებულნი ანათევენ ანა თავილბის, ანათრისა
ანა სცხვენისა, რომდესაც კი საქმე მიდგება იმაზედ, რომ დაგ-
ვანსკოს თვისი ნამდვილი ჩამომავლობა ჩვენადგან. მასთან სო-
სიგო თავ-დადებულზე ვინახე, რომ რომდენი უნდა კაცი ქვეყ-
ნის საქმისთვის» იდაგება, რომდენა უფრო თავ-განწირულია იგი
«სახოვადო ინტერესებისათვის», იმდენათ უფრო დიდს ხერხსა
და ჭკვას იხენს საყოველთაო ხელბის მიდევნაში, ე. ი. რომ-
დენათ ვაცს ძრეულ უცემს გული უკვლავ სიკეთისადმი. რომდენი
იგი მომეტებულია ცდილობს სამშობლოს საფუძვლიან განათ-
ლებას, იმდენი ასეთ ვაცს შეჭურვის დაუდგრომელი გამომიება
სხვისა ჯიბის მდგომარეობისა. ეს კიდევ ანათევი. სრული
იდალი, უმაღლესი მაგალითი თავ-დადებულებისა ის არის, რომ-
მდესაც უფრო კარგა შეუძლიან «სუნის აქება», რომელიც უფ-
რო ნიჭიერი შეძებაჩია, რომელიც უფრო მარჯვეთ მიადგება
იმ ადგილებს, სადაც ფუტკრები ბუდობენ. თავ დადებულის სა-
მაგალითოდ გამოადგება ის გმირი, ვინც დღეში ერთხელ ვაბტ-
კუნის თავის მოყვასს, მაგრამ ისე ვაბტკუნის, რომ ჩვენ ერთ
წელიწადს ვერ მოვახერხებთ იმის ნახევარ ბუბულის აცლას.
ჩვენისთანა ურალთ კაცი გროშობითაც არ დააზარებს მთავრ-
მარე მეზობლის ანუ უნობის შებერტყას: მაშინ, რომდესაც
უკეთესი თავ-დადებული გროშზედ შეხედვასაც არ იკადრებს.

ბუკრი ამისთანა მშვენიერი აზრი დასეიჩნობდა ჩემ თავში.
მკითხველი ცხადათ წარმოიდგენს ჩემ სრულ ციურ ნეტარებას.
რომდესაც ყოველივე დამშვიდდა — გული დაწინარდა, მარტო სია-



მითა ძგარ-ძგურებდა, ტვინი ჭკმნობდა ამ დროს დათიკომაც ამოიღო ხმა:

— დავინაშნე, ბიჭო, დავინაშნე შენა! ბუნებაცა ოსოულად და ამას. რა ვქნა, ძმაო! მარტალია, ჩემთვის არც ერთი ნეტარება და სოფლის მაღალი საწაღელი, ერთი სიტყვით, ყველა ისა, რასაც უგუნურები ქვეყნარე ბიწიერებას ეძახიან. ყოველივე ესე ჩემთვის უხვად არის გაშლილი ჩვენში, მაგრამ, კარგათ იცი, ძმაო, ხელ-მომჭინრე კარგი მუდამ ასეთს გზას ვერ გამოუდგება—ხარჯი დიდია. ამიტომ გადავწყვიტე ჩემი საგუთარი ბინა შეშოვნა ჩემთვის და საწანწალებელი საქმე აღარა მქონოდა. შენ კარგათ უნდა იცოდე, რომ მე ამას მაღალი პრინციპების ძალით ვი არ გეუბნები, არამედ აქა მუშაობს მსოფლად ყაირათი და ჭკვა...

— შენ რომ არ მითხრა, მე ვი ვიცი, რომ ნამდვილი თავ-დადებულისთვის მაღალი პრინციპები უსაქმო და გაუზრდელო ჭკვის ბოკონილია—შენისთანა ვაცს რათ უნდა რამე უნებთი პრინციპები!...

— ჭო და, ენაგაკე ძმაო, რა ვქნა, ბუნების განიხს ვერა სულ-დგმული ვერ წაუვა. ამიტომ რაც ჩქარა იქნება ჩემი, ჯვარის დაწერა, იმდენი ჩემი ჯიბეც შეისვენებს.

— შენე რა გიშლის, რომ ბუნების ხმას ბანი ჩქარა მისცე შეთქი, ვკითხე მე.


— არაფერი. რა უნდა მაშლიდეს! მე მითომ გეუბნები, რომ ავიხსნა მიზეზი ჩემი აჩქარებისა ჯვარის წერაში.

— შენე, რადის ანირბა მაგ გაბედნიერებას?

— რაც მალე იქნება, ის უფრო კარგი.

— მაინც, რადის?

— ჩემის აზრით ამ ერთ კვირასეულ უნდა გათავდეს. ჩემი



ჯიბისთვის ერთი კვირაც ხეტი მძიმე რამ არის, დიდათაც დატყობას მას.

— ძალიან კარგი გიფიქრებია. შენი საბუღალსო სოფელელია?

— სოფელელია და სოფელშივე ჩამოვიწერავთ ჟვარსა.

— ეგ უკეთესი, უფრო იაფათ მოჩნები.

— მე არ შეწინებია, რამ შენც თანა შევანდე მაყრინში.

არ წამომეკვები?

— თუ გი მაგ სიკეთეს მიზამ, ძრვილ დაგიმადლებ.

— ჩემი ქვეყნად ბედნიერება რამ შაკურდეს? შკითხა სო-სიკომ სიცილით.

— შენთვის მე არა შემშურდება რა ქვეყანაზე.

— არა, მაგას არ ვამბობ. შენ ლოგინში რამ მარტოვა ევ-დები იქა, მსკლი არ იქნება?

— შენ ფიქრი ნუ გაქვს, ორი-სამი ღამე საცა უნდა იყოს.

— მაგრამ რათა! კარგია, მომავლანდა! ხურც ინაღელი...

— ეგ ჩემი საქმე არ არის. მე ცალშვილის პატრონი ვარ.

— ცხუარ ზევით აიცილებ. შენი თავის გასეთქამ.

— არა, გეთაუვა. მე მოსეს მეშვიდე მცნებას ვარ გადაუვალ, ვუთხარი მე მტკიცედ.

— კორაული სომ არა ხარ, რამ არა იმრუშო» წმინდათ სა-სრულა?

— მართალია, მაგრამ...

— კარგი, გიცნადობთ, რაც შეილი ხარ. თავს ნუ იგატუნებ.

— სულაც არა, შენმა მხემ მე მართლეს გაჩხები.

— ეგ რა შესმის, კაცო! მომიდღაცავს შენთვის მაგეთი გაუ-ნათლებელი ცრუ მოწმუნება.

— რამეც ცრუ-მოწმუნებაზედ ღაჯარაკობ?

— როგორ თუ რომელზე? შენ სრულყოფით ავანში ყოფილხარ, თუ მაგას გულისით ამბობ.

— მითხარ, რა გინდა სთქვას?

— ვაი შენ ჩემო თავო! მე სულ სხვა-თქვი გიცნობდი. მაშ შენცა ყოფილხარ მახიბლული ზნეობითა ჰრინცაბით? რავე!... აფსუს!...

— სადა ჭებდავ ზნეობით ჰრინციბებს? კვითხე მე.

— მაშ რა საბუთი მოგყავს: მარწყვივით გოგოები ჩემი საქმე არ არის, ცალშვილის პატრონი ვარ! მაშ ეს ზნეობითა ჰრინციბები არა გგონია შენა?

— ზნეობა ვი არა, ის არ გინდა!

— მაშ მაგ ცოკველ მოთხოვნილებას შენა და ყოველი კაცის ბუნებისას რას იმორებ თავიდან, რატომ არ გინდა ბუნების განხების მისვე თავისი გზა? რომელი ბუნებითა შეცნობება გიბრძანებს ამას? სად წაგივითხა ბუნების მოკვლენაში ეკ თავის დაჭერა?

— კარგი ერთი, შენც ნუ ჩამაცვიდი, თუ ღმერთი გრწამს. მრთაღია, შენი სწავლა და ნაჭი ვი არა მაქვს, მაგრამ მეც ვიცნობ ბუნებას, მესმის ცოტა-ოდნათ შეცნობება.

— მაშ შენი ცალ-შვილი რისთვის ახსენა?

— რატომ ისე ღაპანავობ, თითქო უმწველი იყოს! ზნეობაზე, ჰრინციბზე და ათასნაირ სხვა სისულელეზე მე დიდი ხანია შენთან მომიღაპანავებია.

— მაშ რაღას ღაპანავობ, სოფელში რათ გინდა ბუნების გამწარება?

— მგელი რატომ სოფელში პატრანს არა სჭამს, რადესაც უკანასკნელი სახლშია დამწვედელი.

— ჰო, მეც ანა ვთქვი, რა ღმერთი გასწერამის ამ გვერდს
კანსა, მეთქი! ექამდინ იტყოდი და.

— ასეა რა საჭარო იყო, რომ უთუოდ შეღვიარებინა ჩემი
უფულობა!

— მაგაზე ნუ დაღონდები — ეგ ჩემი კალი იყოს.

— მამ წავაღოთ რაღა! დაჭკა სელი! ვუთხარი მე

— ძალის კარგი. მაგრამ ეს გი უნდა იცოდეთ, რომ ჩვენ სა-
ღმართი მოგვიხდება წასვლა და შენ ამას იქით მუდამ საღამო-
უნდა შელოდო, შინიღვან თვისი ან გასდგა. იქნება სვალვე მო-
ვასერსა, იქნება ზეგ; სწორეთ ვერ დაგინიშნავ დროს.

— ბატონი ხარ, გარეთ სულაც არ გავალ ამ ერთ კვირას,
რა შესაქმება!

— ეგ შენ იცი.

არ ვიცი, მიმანგდა მეითხველი, თუ ვერა; მაგრამ მე გი
უნდა ვსთქვა, რომ ვიდრე სოხიკოსთან მომინდებოდა ლანჩაკი —
მანამდისინ მე მართლა ისეთი აზრისა ვიყავ, რომ ცოლ-შვილს
ვერ ვუღალატებდი. მეც გი თითონ კარგათ არ მესმოდა,
ეს სოხიკოსთან რომ არ ჩამოკარდნილიყო ამაზე მსჯელო-
ბა, მე დღესაც შექნებოდა ასეველი თვალეი. სოხიკოს დაან-
ლოკებას აქაც დიდად მიშველა. კაცმა მეცნიერების თვალეი
უნდა ყოველ საქმეში გადაიტანას. მაგრამ ასეთი ღრმით გა-
ტარება ყოველ მოკლესაში რომელიმე ცხოველი აზრისა მხო-
ლოდ ძლიერ ტვისს შეუძლიან. როდესაც სოხიკომ მიაქცია ჩე-
მი დამინებელი ყურადღება, მარტო მაშინ დავინახე; რომ «არა-
იმრეშოსა» «ზნობის სუნი ასდის». მაგრამ მე არ გავიტყუე
აბრე სოხიკოსთან, არ ვიდრე თავს, ვითომც მართლა ებრაელის
თვალით ვუყურებ ამ საქმეს, და ჩემი უვარი უცბე ჯიბის ნაკ-
ლეულებსას გადავბარალო, რომ სოხიკოს თვალში უფრო კარ-

გა გამოვსუფთავებ და არ შეხვეწებინა ჩემი. უმეცრებს, რომ ბუნების მოვლენანი კარგად არ მესმის. თუმცა კი ვგრძნობდი, რომ სოსიკოს ნუკათაც არ ვღივრდი, იმისი ერთი მისხალი ტვინი მთელ ჩემ გოგონას გაჭყიდდა და იყიდა. მართლაც და, რა მშვენიერი ბიჭია, ეს დასაქტევი! მე ვერ მოვიტომინე, რომ ჩემი აღტაცება არ გამომეთქვა სოსიკოსთვის;

— ძალიან ჭკვიანათ კი გითქვითია, რომ ცოლს ირთავ, აი!

— რაზე ამბობ მაგას?

— აფსუსი იქნებოდა, რომ შენი პირ-და-პირი შემკვიდრე არა ჰყოფოდა სამშობლს.

— ჩემი შვილი გამოადგება მეტე ქვეყანას ჩემსავით?

— რაღა თქმა უნდა. ძაბთალია, ზოგნი ამბობენ, რომ კარგ მამებს უღირსო შვილები უფროს უჩნდებათ, ვიდრე მამის მსგავსნი. მაგრამ ეს სრულებით ტყუილი აზრია. რაც უნდა იყოს, მშობლის თვისება უთუოდ გადავა შვილსედა. ბუნებაში მაკეთი მოვლენა ყველგან გეხსივება თვალში. მართლაც, სად გინდა, რომ მაგას არ ხედავდე: ჩვენ სოფელში გლეხებმაც კი იციან, რომ ვინშიანი ბულიდგან მსხვილი და ბარაქიანი საქონელი ჩამოდის. აგრეთვე ძაღლებშიაც და ქათმებშიაც მუდამ დღე ვხედავთ მაგ მოვლენას. ვითომ კაცი რაღა არის?

— რა თქმა უნდა! მეტე ძალიან მინდა, რომ ჩემი შვილი ცოტათი მაინც მგვანდეს.

— მარტო ერთი ცკარი სისხლი რომ შენი ედგეს მას ძარღვში, მაინც სამშობლსთვის დიდი ბურჯი იქნება.

— მე მაგაში ეჭვი არა მაქვს... არა, გეთავა, თუ ღმერთი გრწამს, თუ ჩემი ძმობის ხათრი და სიყვარული გაქვს, ნუ დამიძალავ და პირში მითხარ, ჩვენ ქვეყანაში მე დამედრება ვინ-მე? მეითხა სოსიკომ.

— სწორეთ გეტყვი, თუ არ გეწინებთ. მაგრამ ჩვენში წვე-
ნას რა ხელი აქვს! — იცო, რა გითხრას, ძმა-ჯან? ჩემის აზრით,
შენ ჯერ ჯეული ბიჭი ხარ და ამიტომ გეუბნები, რომ შენზე
კარგებიც არიან ჩვენში და შენისთანაირიც ბლამათ.

— ჩემისთანები ბლამათ და ჩემსუდ კარგებიც არიან?!

— რა ვქნა, არიან და ტყვილი რაგონი გითხრას!

— აბა, მაგალითად, რომელი გგონია ჩემსე მჯობნი და ან
ჩემისთანა?

— აგერ, თუნდა ქალაქამე აიდე, გინდ მურიკამე, გინდა ზა-
გიაშვილი. შენ ჯერ იმათამდის ვერ ახვალ, ჯერ ბევრი გაგიწე-
დება იქამდის...

— ვაი შენ, ჩემო თავო! მე რე მაგრე მიცნობ შენ მე! რითი
მჯობიან ესაა მე გინდა თითონ ქალაქამე, შენის ტყვიით?

— ჯერ, რაც იმას თახახი ქალაქადი დაუწერია, შენი წონა
მარტო ის გამოვა.

— პირველი ესა, რომ დაბეჭდილი ქალაქადის სიმრავლე გი-
დევ არ არის თავადები, რომ მწერალი მართლა კარგი იყოს.
შეორედ, რომ მე მაგოდენა რაღაც ვიქნები, უფრო ბევრი მექნე-
ბა დაწერილი.

— მე შენ მომავალსე არას ვამბობ, მხოლოდ ესადადექს
ვეუწერებ.

— გინდა ესადადეგი იყოს მარტო ჩემი ერთი შენიშვნა
იმაზედ, რომ ჩვენი გლეხ-კაცობა საშინელი გონსკრვატორია,
— ჰო, მარტო ეს შენიშვნა, სხვაზედ რომ დაკრუდე, მთელ
ქალაქამას ნაწერებს ქვეშ ამოიღებს.

— მე არ წამიგითხნია ეგ შენი შენიშვნა ჩვენ მწერლობაში.

— არ წამიგითხნია იმიტომ, რომ ჯერ არ დამიბეჭდინებია.

— მე რე რაღას უეწერებ, თუ მართლა კარგია?



— ვარგი როგორ არ არის, როდესაც ამ სტატიაში მე აღ-
კადგინე ერთი უმთავრეს კითხვათაგანი ჩვენი შინაური ცხოვრე-
ბისა. მაგრამ გახეხოს შეშურდა, რომ იმის თანამშრომელურს
არც ერთს არ შეუძლიან ასეთი ღრმით შესწავლა ჩვენ გლეხ-კაც-
ბაზე, და ბაიურუმობით არ დაბეჭდა.

— რას უზირობ მას ესლა?

— რას უნდა უზირობდე, უნდა დაბეჭდო.

— ფული რომ დაგუხარვება?

— ჩემი ფულით ხომ არ დაბეჭდავ და! «საზოგადოების»
ფულის ჩემის მხეობით მოგროვილი და მევე მანია ეს ფუ-
ლი. მისი დანიშნულება ის არის, რომ ქართული წიგნები ბეჭ-
დოს და ხალხი წერა-კითხვას მიასვიოს. იმაზე უკეთეს დანიშ-
ნულებას რომელ ნაწერზე ასრულებს ეს «საზოგადოების» ფუ-
ლი, თუ არ ჩემი სტატიის დაბეჭდაზე! «დროების» თავლის
მოსათხროვლათ მაინც გამოვა ეს მშვენიერი და ძალუმი შენიშ-
ნა, რომლითაც ჩვენი გლეხ-კაცი გამოიფხეკს ყურს და უსმენს
ახლანდელს განათლებას.

— მაგას მაშინ დავინახავთ, როდესაც შენი სტატია ხალხში
ჩავარდება. მანამ კი ქალაქადმდის ვერ ბევრი გიკლია. იმან გა-
იკეთა სახელი და მასთან დიდი სახელი.

— არა, ღვთის წინაშე, ქალაქამ და მისი გამზანია ჩვენში
ძრეულ მალეა დგანან. მე ხომ ამის წინააღმდეგს არას ვამბობ.
მაგრამ მაინც ჩემი მომავალი უკეთესია.

— რათა ხარ მაგაში ესრე დაჯერებული ვითომ?

— ამასე მე ბევრი საბუთები მაქვს. მართალია, ჩვენი თავ-
დადებულები, რომლებშიაც ქალაქამეს უფროსობა ეკუთვნის, ყო-
ველეს მხრით შესანიშნავნი არიან; მართალია, ჩვენში ახალი მეც-
ნიერების შემოტანა ეკუთვნით მათ; მართალია, იმათ აანთეს

შირველი ჩირაღდანი სინათლის ჩვენი ქვეყნის ეუფემეთში; ისინი იყვნენ გენიოსი მისიონერები ბუნებითი სწავლის გაგრძელების ჩვენ ცრუ-მოწმუნე ხალხში; მართალია, თვით ახალი თაობა თავ-დადებულებისა, რომელთა შორის ვდგეკარ მეცა, მათის წყალობით და მეცადინეობით არის ქვეყანაში გამოსული; ქალაქ-ქალაქში და მისმა მიმდევრებმა დაგვირღვიეს თითონ ჩვენც პირველათ ღვთის შიში, მერე მოიტყობა; მართალია, იმათ არაფრისა სცხვენოდან და არც არაფრისა ეშინოდან, გარდა ვაჩინისა, — უოკელივე ეს მართალია, მაგრამ მაინც იმათ, ყველა ჩამოთვლილ ღირსებასთან, ჰქონდათ ერთი საშინელი ნაკლულეკვანება, რომელიც მათ ართმევდათ ბეჭ-ნაირ ძაღვს და უშლიდათ საქმის უოჩადან წაყვანას.

— ახა, რომელი ნაკლულეკვანება არის, მეთქი? კვითხე მე წასაღისებულმა.

— იმათ არ იცოდნენ თულის ყაღდი.

— გვიდევე არაფერია, შენმა მხემ.

— სწორეთ რომ დიდი თერია, თუ ვარჯა ჩათქედები. ვისაც თულის ყაღდი არ ესმის, იმას ვარჯათ არც პოლიტიკური ეკონომია ესმის, და თუ უკანასკნელი კაცმა «მამაკო ჩვენო-ზე» ვარჯა არ იცის, ის კაცი ვერა დგას თანამედროვე განათლებაში მტკიცედ.

— არ ესმის, რა გინდა სთქვა მაგითი.

— ისა, რომ ჩვენი მსწავლულნი იყვნენ ყველაფერში დასჯელუნებულნი. თავიანთ სწავლას და მეცნიერებას სწორედ იქით-კენ აქცევდნენ, სადაც უფრო გასავალი ჰქონდა. თავიანთი განათლებით ისინი ატუფვილებდნენ ყველას, ცარიელზე სომდნენ — მოყვასი, ვისაც ვი თვალში ჩინი ეტუობოდა, არ გადურჩათ გაუბ-ტკნელი, გაუკრეჭელი, გაუტყავებელი, გაუქურდელი, კეთილ-

შობილურათ გაუცურებელი; ჩვენებური ქალის გულისგან აღმო-
ფხვრეს სხეობითი წინციშები, და ბეჭ სსვა საქმისკენ მიაქ-
ციეს მისი უურადლება, გააგებინეს ბუნებითი მათსოვნის
ნამდვილი ძალა და მისი კანონიერი ბოლო, ერთი სიტყვით,
ბეჭი ჩვენი ცხოვრების მოვლინება განათეს. ყოველსავე ამ
მოქმედებას ის დანიშნულება ჰქონდა, რომ მათ ეჩვენებინათ
ქვეყნისათვის უკეთესი კაცის მაგალითი, ე. ი უკეთესი კაცი
უნდა სცხოვრებდეს სულ-გულ გაშლილათ. ჩვენც ამავე ტემ-
პირით ვადგევართ. მაგრამ ახალსა და ძველ თაობას შუა
ის შესანიშნავი განსხვავებაა, რომ ჩვენ გვესმის ფულის უაი-
რათი და იმათ ვი არ ესმოდათ. ისინი რატატურათ იმიტომ
იღებდნენ მოყვასის კვანძებს გატივულ ქისას, რომ იმავე საა-
თს გაქვრათ, გაესაღებინათ მასში ჩამწვედელი ფული.

— ჩემის აზრით ისინი ძრავლ ტკვიანათ მოქცეულან. კუთ-
ხარი მე.

— შენ კიდევ არ გესმის. ახა ტკვა სად არის, რომ კაცი
არ ფიქრობს მომავალზე? იმათ შეეძლოთ სულ-მოტერით ეც-
ხოვრათ და ფულები ენახათ საბოლოოთ.

— მეტი, რა შავ-ქვით უნდოდათ?

— შავ-ქვით ვი ახა, თუთრ ქვით გამოადგებოდათ. ისინი
თავიანთი ბუნების ღირსებით რომ დიდ-ძალი ქნების პეტრონი
გამხდარიყვნენ, მაშინ რჩ-ნაიკათ ასწევდნენ ჩვენი ქვეყნის მო-
სახრებას, რჩ-ნაიკათ იქნებოდნენ თავ-დადებულნი ქვეყნისთვის:
პირველი თავიანთი მეცადინეობით და მეორე, ფულებით. მასთან
ფული უფრო ბეჭს იმუშავებდა, ვიდრე მათი პირადი ღირსება
და ძალა, ფული უფრო დიდს თავ-დადებულობას გამოიჩენდა,
ვიდრე თითონ ისინი.

— ეგ მართლაც, რომ ფუფუნ ბევრი რომ შეუძლიან, მაგრამ რაღა უნდა იყოს, მანდ კიდევ იმტყუალა გარჩევა არ არის თქვენ შორის.

— სულაც არა. გარჩევა ძრეულ დიდია- ახა, მიუხრე მე შენ, რადესაც ჩემი ქონება მილიონათ გადაიქცევა, ზოგი მაშინ აღვიარე მაგეთი აზრები.

— ათი მილიონიც რომა გქონდეს, მითომ რას იზამ?

— რატომ არას ვიზამ! მაშინ იათ ფასათ ქართულ წიგნებს დავაბეჭდინებდი. ბლამათ გავიტანდი ხალხში ამისთანა განმანათლებელ იარაღს და ავწევდი ხალხის ჭკვა-გონებას. დღე-ღამე არ მოვისვენებდი, რომ ჩვენ ქვეყანაში სათუძვლადანი მეცნაობა დანარსებულყო, ჩვენ ხალხს ესარგებლნა მეცხრამეტე საუკუნის ძველა-მოსილია განათლებისაგან.

— ეგა რასავეირველია, ძრეულ დადი რომ იქნებოდა სამშობლესათვის.

— მეც სამშობლესე არა ვლამარაკობ მეცე აქნამდის! მეც მაგიტომ არა ვარ შთან,...

აქ მეცა და სლსიოგოც დავიდალენით და ცოტათი ჩავთვიქრდით.

V

სლსიოს დღევანდელი ღამარაკიდგან მე ბევრი შევადარე იმას, რაც მას ჩემთვის წინათ ეთქო, და, განა არა, ცოტა ეჭვი შევიტანე მის გულ-წრფელობაში. მე თითქო ტყუილშია დავიჭირე ისა ჩემის ფიქრით. როგორღაც ჭკვაში არ მივდ-



ზოდა მისი დღევანდელი ბაასი წინანდელთან და ამ ყოყმანის გამოსაკვლევათ ვკითხუ:

— გახსოვს, დათიგო, პირველათ რომ მე და შენ ერთმანთს რიგინათ გავცანით, შენ როგორი თავდაკლული იყავ საზოგადო საქმისთვის? დღეს კი შენ მაგდნათ არ ხარ გატაცებული იმავე ცეცხლით. რა მარჯობა ეს?

— მიზეზი შენი საგუთარი გამოუცდელბოა: შენ წათდავიწყდა, რომ დღეს სრულყოფით სხვა საკანზე დაიწყო შენ ჩემთან ღანაჩაკი, და მაშინ სულ სხვა იყო.

— ეგ კი ვიცი, მაგრამ ერთხელ როდისღაც მე შენ ჰეზოგობზე გადაგივარ სიტყვა და შენ თავი მოიკატუნე, ვითომც შენი პირიგნება გავიწყდებოდა «საზოგადო საქმისთვის», ვითომც შენ თავს ნებას არ აძლევდი რამე სიამოვნებას, გევიქცნა.

— შესმის, მაგრამ მანდაც შენი გამოუცდელბოა შეშობის.

— როგორ, მე რე?

— როგორ და ის რე, რომ მაშინ სხვათნოვ ვერ დაგიწყებდი მე შენ ღანაჩაკს. შენ ვერ უსუსური ემაწვილი იყავ, ცხოვრება ქვეყნისა შენ არ გაღვლეებდა, შენ ყოველივე თქმებზე გვიდა, და ამიტომ მე მივიღე ისეთი საშუალება, რომ გამომეყვანე შენი პირადი ინტერესებისგან. მე რომ ისე ცხარეთ არ დამეწყე შენთან «საზოგადო საქმისთვის» ღანაჩაკი, შენ თეატრისთვის ვერას მაშედიდი, ზედან არ შემომხედავდი. უშინათ კი მარტო მე იმ დამეს ჩვენ აქტივობებს ვერას გავამართვინებდი და ამიტომ ვერც მე ჩაკვიბავდი მაშინდელ ლუკმას. მასთან, რომ იცი, დღეს ჩვენში როგორი ახალგაზდობაა: თუ გინდა იმათ გამორჩე რასმე, უთუოდ თავი ის რე უნდა აჩვენო, ვითომც ეგ არის სატანოვკლად გამოსადგებული ხარ. მაშ მე რომ მტკიცეთ

უმდგარიყო იმავე აზრზე, რომლებიც მაშინ შენგან მივიღე, ხომ შენ დღეში არ გამოგებინებდა შენ ვინაობას!

— რასაკვირველია, არ გამოგებინებდი. მაგრამ შენ ისეთი გეძვი მუსა არა ხარ. მე მაშინვე შეგატყე, რომ უფრო ასკი-ლივით მოქნილი ხარ, საითაც უნდა, გადაგხრის კაცი. როდესაც ვხახე, რომ ადვილათ დაგიუფლიე «სახოგადო საქმისთვის», მეტი დაგწმინდი, რომ შენ ძვირ-ფასი რამა ხარ და ყველა-ფერში გამოხდები, ამიტომ განვიზრახე არ დამეძლას შენთვის ჩემი ნამდვილი სახე, რომ შენც ჩემებრ გველს შეეყვანაში.

— მაშ სახოგადო საქმე? სიტყვე იყო?

— არა, სიტყვე კი სრულებითაც არ არის, მაგრამ მანც გაზვიადებული იყო. ყოველივე გამოუცდელი ახალგაზდა ის-რე თქვა, უთუოდ თავდადებული კაცი ანგელოზი უნ-და იყოსო, ქვეყნიური არა უტყობოდეს რაო. მეც, რაც შე-მეძლა, ვსტდილობდი, რომ ყველა სრულმისთვის ასე მეჩვენე-ბინა თავი; მაგრამ შენისთანა გონიერ კაცს სრულებით სხვა-ფერი ვეზერობი. ახლა შენ უნდა განვიხილო, რა ხაირ მაჯაყებს კთანაშობ იქა, სადაც ეშმაკივით ევაკრებათ «სახოგადო საქმე». ყველგან მე თავიანთ უკეთეს მეტობრათ მიუფრებენ. ახალგაზ-დობას თავისი უკეთესი წიგნი და თითქმის მართვე ვკონიკარ, ძველები მე ზირველ ადგილს მამლევენ თავიანთ შორის, შენისთანა ნამდვილი, მეტნიერები ხომ თავიანთ მასწავლებელთა-განს ვხედავენ ჩემში.

— მეტი სად მივიღე მაგეთი სისრულე ან რათ გინდა?

— რაც კაცს გამოადგება, როგორ არ მიიღებს! მე ყველგანა ვსარკებლობ მაგითა. მიღებით ხომ ზირველათ მეცა და ჩემმა უკეთესმა ტოლებმა მივიღეთ ქალაქის სელში.

— რა ვქნა... მეც თითონ გადამივითხნია ქალაქის ნაწიკ-



ბი, მაგრამ იქიდან შე ვერ გავმოვიტანე მაგეთი ბეჭდული შე-
სუდვა ცნობებზე! უთხარი განცვიფრებით.

— შე კი არ ვიცი, რომ იმის ნაწერებიდან შენ ვერა მაც-
ხვარ არის ვერ გამოიტანდი! ქაჯაქაძეები იმდენს წერითა და
სიტყვით ვერ აგებენ, რასაც თავიანთი გერძე ცნობებით.

— მევე ხომ სულ დობრადიუბავს და იმისთანა იდეა-
ლისტებს მისდევს და იქიდან რაგორ გამოიყვანე შენ მაგეთი
ახალი სწავლა?

— დობრადიუბავით იმისა სწავლიან ახალგაზდების თვალე-
ბის აზმა, თორემ თითონ იდეალისტებზე განცილებით შორის
წავიდა — ის ისეთია, რაგორსაც შენ ესლა მე მიუფრებ. ჩენი
ახალი თაობის სულელები მამა, ბიძა ქაჯაქაძეა. მაგრამ,
ხომ გაგიგონია, «ისა სჯობს მამულისათვის, რაც შეილი
სჯობდეს მამასა»...

— მაშ იმან თქვენსედ გავლენა საკუთრის ცნობებით იქ-
ნია?!

— აკი გეუბნები. იმან თავის მშენებრი ღირსებით, თავის
გასატყუებელი ღაპარაკით და უფრო გაბედული ქცევით შეგავა-
რა თავი. დღეს ჩვენ მისი სულელები შვილები ვართ. მას დიდი
გავლენა ჰქონდა ყველაზე. იმან უნდოდა აგრეთვე ჯადო ეგდო
ახალ-გაზდობისათვის, უნდოდა იდეალისტებიც თავის მსაჩვენე
გადაეყვანა, კიდევ მიაწია იქამდის, რომ საქმე ალჩე უფლებდა,
მაგრამ აქ აჩქარდა: რა კი ნახა, რომ ყველანი იმისკენ იღტვიან,
უნდა მოსტყუვდა და ხმა-მადლა, ყველას გასაგონათ, გამოა-
ცხადა თავისი ნამდვილი შესედულობა იდეალისტებზე. ეგონა,
რომ დრო მოსულყოფს ასეთი თამამი ღაპარაკისა; ეგონა, რომ
ესლა ყველა მომზადყოფილი მისი აზრების მისაღებათ, გასაზი-
არებლათ. ის კი არა თუ მოსტყუვდა საშინლათ. ახალგაზდობამ

„დამტკრეულ ოცნებებში“ მე ვხატავდი ჩვენი მწერლობის ვაგლასს. ჩემი აზრი იყო დამკსატნა აგრეთვე ჩვენი ცხოვრების უმთავრესი ვაგლასიც, ვიდრე დავხატე, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, ვერას გზით ვერ მოვასერხე გამეზიარებინა იგი «იმედის» მკითხველებისათვის. ეს შკადგენს იმედის «ტანჯვას», და აქ ანც თავის გამართლებას ვაზიარებ. ვჰკრდები ამას, რამაც მკითხველის ეურადღებამდის მიაღწია. იქ ვიძახოდი, რომ ქართული მწერლობა არა დგას მკვიდრ საფუძველზე, გზა-დაბნეულია, ცხოვრებას ვი არა ჰხატავს, იგი ძლივს მისჩინჩალებს მას გუდას უკან და ამიტომ არავითარი ვაგლენა არა აქვს თითონ ცხოვრებაზედა, იმას არ უდგა პირში სული, მეთქი. ან საიდგან უნდა ედგას სული, რომდესაც თვით მწერალი შემთხვევით აიღებს სოლმი ვალამს ხელში და შემთხვევით ვაგდებს მას ხელიდანა, მეთქი. ამას მოუყვანე მწარე მაგალითი ვამოჩენილი ილია ჭავჭავაძის მწერლობის ბედიდან, მერე მიუბრუნდი იმ უბედურ მოვლენას, რომ ვერ ქართულ ლიტერატურას არ შეუტვიკებია თავი დედა აზრის ვამოსაკვლევად და ამიტომ ვერ ვაგუბა თავისი პირდაპირი გზა, რომელსაც იგი უნდა მტვიცრედ დაადგეს, მეთქი. მხოლოდ ამ ვაგუებლობით აიხსნება, რომ დღეს ჩვენ უსუსურ მწერლობას თავის მოვალეობად ვაუხდია — ჩავგონოს ქართულ ვატს, რომ იგი ქართველია და არა სხარსელი, ამიტომ უნდა თავისი სამშობლო ჩინეთზე უფრო ძრიელ უყვარდეს, მეთქი. ამ მიმართულებას არა აქვს ანც მომავალი და ანც აწმყო, მას არ შეუძლიან მისცეს აღმინანს არავითარი აზრი, რადგან ყოველ ვატს ძალაუნებურად უყვარს თავისი სამშობლო — ეს სიკვარული ბუნებითი თვისებაა, ის ჩანერგულია თვით მზრუნველი ბუნების ხელით, და არა ცრუმეტყველი «მამულის

შვილების» დასითა, მეთქი. ქართულს უყვარს ქართული ენა, სომეხს სომხური, რუსს რუსული. მაშასადამე, თქვენი მოქმედება, «შიღნო მამულისანო», მხოლოდ ჩხიჩქედულობა განადის, რომაც ამცირებთ მწერლობის ასპარეზს, თქვენ საქუთარს სახელსა და სხვანი. ამით ჩვენი სამშობლო აზრი დგება უკან და ეს მეტად საშიშურაა. ვინაჲთაჲთ უკრადღება ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობას, გაიკეთ მისი ვაგლანი, გამოიძიეთ, ახსენიეთ და ასწიეთ მაღლა საზოგადო აზრი, მეთქი. რომელსაც უოკვლივე ესეები გაკეთდება, მაშინ შეგუტეობათ უკეთესი მამულის შვილობა, და იმათ მოჭყვება თავისთავათ ენაცა და ჩვეულებისიც, მეთქი. სამშობლო ქვეყანას უნდა საქმე და თქვენ გი ჩხიჩქედულობთ. ეგ დიდი დანაშაულობაა ჩვენი ქვეყნის წინაშე, მეთქი.

ეს იყო ჩემი დანაშაულობა, რისთვისაც სწორეთ ჯვარს მაცვამს მახვილმა ბოსლექელმა (ამ სიტყვებით მხოლოდ ვაგმაუთილება მის თავ-მოყვარეობას). მაგრამ აჩა, უკაცრავათ, ეს აჩა შეადგენს მისი უღონო გაბრუნებულობის მიზეზს. ესლამა მომაგონდა, რომ იმ სტატიისა მე მქონდა შემდეგი ფრაზა: «ენა, ნაჭერი სოცლისა პირსა შინა» (როგორც საფუძვლიანად ჩამჭრა (?) უ. ბოსლექელმა). «აბა აქ რა აჩის დანაშაული, მაგრამ ხომ მოგესხენებათ, უსომეხ თავ-მოყვარეობას ბევრი რამ შესძლება. ამ ფრაზაში ვითხვითი ნიშნის მთლად მოუკლავს საცოდავი ბოსლექელი, დაუჭრია და გაუბრუნებია, უნდა გამოგიტყდეთ, რომ ჯერ ხანად არ მინდოდა ასე ცივით გამოსტყმობინა ახალ-გაზდა მწერალი, განვიძრასე კიდევ, რომ ათიოდე სტრქიქონით სუტურ ენაზედ მიმეცა მისთვის ელემენტარული დარბობა, თუ როგორ უნდა მოიქცეს მწერალი სალიტერატურა ვითხვების გარჩევასში. მაგრამ მაშინვე მაგზდა, რა დაუძრათობდა მის თავ-მოყვარეობას. აი ეს ვაცლობრადული შესწავლება»

იყო მიზეზი, რომ მე მხოლოდ კითხვითი ნიშანი გადაუჭარი. ახა რა შენდევლებოდა ჩემთვის ვუფთავდებოდა! ძალიან კარგათ მიყო მსხვილმა ბოსლექელმა. ჩემი ბრალა. აქ ვის უნდა დავემდურა! თითონ ბოსლექელს? — ეს მჭკნარი სისუფელე იქნება. იმან რა ქნას? იმან თავისი განუსაზღვრელი თავმოყვარეობა დაკმაყოფილს, როგორც იცოდა. ამას იქით კი ჭკვას ვისწავლი და კითხვითი ნიშნების მაგიერ სულ განგვირგებით ნიშნებს გადაუჭრავ ჩემ ბრალის ბოსლექელს. ეგება მამინ მანც მთავიგა მისი გული. ჭო, ეს მომავლისთვის იყოს. ესლს კი ვნახოთ, როგორ ამოიყარა ჩემი ჭკარი მსხვილმა (!) ბოსლექელმა და რა სახით დაიკმაყოფილს თავმოყვარეობა.

მე ვამბობ — პატრიოტობა, მამულის სიყვარული, ბუნებითი გრძნობა, მეტი, როგორც სიყვარული დედისა, მამისა, მთავრისა, სქესისა და სხვანი. ამის გულისთვის განზრახებულმა ბოსლექელმა მომიქნია რკინის კვერთხი და გაითხლამუნა თავში: „ეშმაკეული «იმელი» დადადებს — ყოველი პატრიოტობა ბუნებითი გრძნობა არის, ისე, მაგალითად, როგორც ყოველი კაცი მათემატიკოსია, მიტომ, რომ მათემატიკის სწავლის ნიჭი ბუნებითია, როგორც ყოველისთვის ჩვენ ცოდვილ დედამიწას და მწინააღმდეგის ასრის დამახინჯებას მწერლობაში მიქარვას ეძახიან. მიქარვას ან გაუგებრობით ჩაიდენს კაცი, ან უსინიდასო განძრახულობით. მე მინდა შეუმსუბუქო მსხვილ ბოსლექელს ეს მიქარვა და ავხსნა იგი გაუგებრობით, და არა უსინიდასობით. იმას არ ეუფრება და ჭკობია — არც მე ვიცოდე, რა განსხვავება სუფევს გრძნობასა და ცოდნის შუა იმან ის არ იცის, რომ ბავშვი დაბადებიდგანვე ჭკობილს შიშშილს და ცოდნით კი ჭერ არა იცის რა. ამიტომ მეტად მსხვილად (!) ადარებს პატრიოტობას და მათემატიკას ერთმანეთს. რა ქნას!



უნდა და ჩემთვის გაერთიანდეს და თითონ კი მოიხვედრას. მეც და გუწყო მას გამწიკება? ეს შეუძლებლობა იქნებოდა, მაშინ რა-
დესაც იგი მართლაც ღიწნის სიბრძნეებს. ეს «მხველი» შედა-
დება იმას წარბაზსანი ეგონა ჩემი აზრის დასამტკიცებათ. შეი-
ბრძნეთ, რომ ის კი ვერ დაამტკიცის და თითონ კი ცხვირ-
გაიტყვას.

მე ვამბობდი და ვამბობ, რომ შემთხვევას კაცობრიობის
პროგრესში დიდი ადგილი უჭირავს, მეტიც. დასამტკიცებლად
მოვიყვანე გასაგები მაგალითი, უ. ერისთვის „სამშობლოდგან“
გოგია დიაკონი. ისტორიული მაგალითებიც მქონდა, მაგრამ
მკითხველამდის, ჩემდა სამწუხაროდ და «სატანჯველად», ვერ მია-
ხწიეს — (გიდეკაც ვიმეორებ, რომ ამით მე არ მინდა თავის გა-
მართლება). ვასახელებ უფრო ცნობილ მაგალითს, ილია ჭავ-
ჭავაძეს, რომელსაც მიეძინა რუსეთის მოწინავე შუქი და ამო-
ადებინა ძალუმი ხმა. ამაზედ გიდეკაც მხველი (!) ბახლეველი
მიზანუხებს: „ეშმაკისაგან გვემულს მემიდესა ჭკონია, რომ სა-
ზოგადო წარმატება, პროგრესი, მოგზაურობა, სსკათა-შორის,
გამოუძიებელს ბილიკზედ, რომელიც მტკიცე კანონზედ არ
არის დაფუძნებული .. ისტორიის ცოდნაც და ისტორიული
ფაქტების გაგებაც ამას ჭქვია!... მაგრამ დამთხვეულს ყოველის-
ფერი მიტოვება, რამეთუ არა უწყის, რასა ცტუვის,“ (ეს მო-
მეტებულად სისუსტე განსაკუთრებით სურუროსადმი). მკრე გადადის
გიდეკაც იმ საქციელზედ, რომელსაც მწერლობაში ჭქვიან დაწბ-
ისლური სახელი — მიქარვა — ვითომც მე ვამბობდი, რომ შემთხ-
ვევით იზრდებიან ქართველი ახალ-გაზდები რუსეთში. ამას
გიდეკაც მხველად (!) მიჩნევს უ. ბახლეველი: „ჩუჩას უკაც-
რად, ბატონებო, «იმედი» ნამეტანი სიცხისაგან ბოდავს, თორემ
გონზედ მეოფი — რუსეთში ჩვენი უმწვილეების წასვლას სწავ-

ღის მისაღებათ შესედავდა, როგორც ჩვენის ქვეყნის რუსეთთან
 დამოკიდებულების შედეგს, და ეს დამოკიდებულება შოგზაუ-
 რობდა არა გაურკვეველს ბილიგზედ, რომელიც ექვემდებარება
 შემთხვევას ანამედ, თავის მხრით, იყო მრთელის წარსული
 ცხოვრების შედეგი... (აიხსენი არ არის, რომ ავსტრიის იმპერა-
 ტორმა არ იცის, თორემ ის მაშინვე მთავარ საზღვლებს მიანდობ-
 და მახვილ ბოსლიველს ბოსნიელებისა და გერცოგოვინელების დასა-
 პერობდად. ეს გამოჩენილი პოტენციალური საზღვლი უომრათ
 დააჩქმუნებდა აჯანყებულებს, რომ მათ დამოკიდებულებას ავსტ-
 რიასზე თითონ ისტორიული და სოციალური განხრები მ-
 ითხრვენ—ციც!... თქვე ბუნების წინააღმდეგობა!... აი, გლადს-
 ტონი უფრო დემოკრატიული კაცია, იმასთან გამოლანჯანება
 უფრო მოსახერხებელია. იმედისა რედაქციამ განიძრასა, თუმცა
 ძვირად დაუფლება, ტელეგრამით აცნობოს ამ გამოჩენილ სა-
 ხელმწიფო კაცს, რომ «შრომის» რედაქციაში ზის ისეთი ადნი-
 შიკი, რომელიც, თავის შესანიშნავი მიქსტურით, ხელ-და ხელ
 ჩაახრებებს მაგ უმეტარ ირლანდიელს, რომლებმაც არ იციან,
 რომ მათი დამოკიდებულება ინგლისზედ დამყარებულია
 მტკიცე ისტორიულ კანონზედ... უ. ბოსლიველა!... უ.
 ბოსლიველა!... დემოკრამა კი ხელი მოგიმართოს, მაგრამ ძა-
 ლიან ნიადგზედ კი «შემდგარხართ». ამის მეტი კი არა მოიბ-
 კებდა რა თქვენს დიდებულ გულში, ესეც ვერ დასტიეთ და,
 ურალთ ვითხვითი ნიშნისგამო, ამოგდეთ იგი თქვენი გულიდ-
 გან, დაუგეტეთ კარები?! იმედი მაქვს, რომ კარებს ისეც გაუ-
 ღებთ ამ ერთად-ერთ თქვენ გრძნობასა და აზრს, თორემ რაღა
 დაგრჩებათ გულში «შრომის» რედაქციითურთ!...) ეს იმასა ჭკავს,
 მკითხველა, რომ შენ მათხრას: რაჯერ რნი რთხიაო. მერე
 შე მოქცე შემდეგი მახვილი მოსახრება ხელში: მკითხველი იქამ-

დის დამთხვეულია, დასიცხული, რომ ჭბოდავს, ვითომც არაფერ
 არი ოთხი იყოს. აბა, ამასა ჭქვიან მათემატიკის ცოდნა, აა!...
 ანტიკეთ, რამეთუ არა უწყის, რასა იტყვის (ეს სიმბატიაა ხუ-
 ცურისადმი) არ-ჯერ-არი ხუთია, და არა ოთხი, როგორც
 ცოდვიანი მკითხველი ჭვინობს, მეთქი. ეს იქნებოდა მხალხლ
 კეტი, რომელიც მოგიქნივე შენა და თავში ვი მე გაიკეტი.
 ასე იმტყვევს ცხვირ-პირს თავისივე ხუთ-ფუთისანი ხელებით
 ხეინი საწყალო გერგულისად. ესაა, ვთქვათ, მე რომ არ მი-
 ნადეს მახვილი ბოსლევკელისა და გაკემგზავრე ქუთაისში, — ამ
 დროს უცებ გასქდეს ორთქლით მატარებელი, დაიფუქოს მთე-
 ლი «პოზდია», მოვევე მუც უბედურებში და მოვიტყუო მარჯ-
 ვსა მკლავი; მე არ შემძლიან ვსთქვა, რომ შემთხვევით გაში-
 ფუჭდა ხელი, მეთქი: უ. ბოსლევკელი ამ არატიკული სიტყვისა-
 თვის მეორე ხელსად მომტყეს, რადგან ის დამიმტკიცებს, რომ
 ქვამის გატყეს ანსხნება ამა-და-ამ მიზესებით, რომლებიც დიდი
 ხანია მუშაობდნენ. ვაჟო, ჯანა ქვამი აც გასწევტია! მე ვი ხე-
 ლი მომტყე და მაგრამ იქნება მცოდნე (!) ბოსლევკელმა იმა-
 სვილას და თქვას, რომ აქ შემთხვევა ვი არა, ჩემი «ბედის-
 წერა» იყო და მაგრეც უნდა მომსგელოდა, ვერას გზით ვერ აც-
 დებოდი მე იმას. რას არ ამბობენ მცოდნე ვაცები! ბოსლევკელის
 მეხსებით, ანდა ფატალიზტობაც მეცნიერებათ გადაიქცევა . . . ერ-
 თი მაგალითიც . . . მინდორში მუხი დამეცა და გამაქრე ერთ
 წუთში. ჩემზე არავის შეუძლიან სთქვას — შემთხვევის კერძა გან-
 დაო, თორემ ბრახიანი ბოსლევკელი სხვა-ნაირად დაუტრიალებს
 მას თვალს, რამეთუ მან უწყის რომელი მუხი იგი მსგელოდს
 განგებითა მღვთისათა და ვაცი იგი იყო მოკლეუდ ბედის-წერი-
 სამებრ თვისისა. აბა, რას უნამთ ამისთანა მეცნიერს! მაგრამ
 დაუთმეთ უ. ბოსლევკელს დაფუძნება ფატალიზმის მეცნიერე-



ბისა და ვიდრე ის აღასრულებს თავის მადალ დანიშნულებას, შინამ ჩვენ ამისთანა მოკლენათა დაუუძახოთ შემთხვევა. ბედნიერი შემთხვევა უფრო ნაკლებათ არის, მაგრამ მაინც არის. მაგალითი (ესეები მარტო ბოსლექველისთვის მინდა). ციხეში ზის უსწავლელი დამნაშავე. ცოტა ხანს უკან იმას მოუამხანაკეს ნასწავლი კაცი. სხედან ერთ სახლში. დროების გასატარებლად მცოდნე პირმა დაუწყო სწავლება უმეტადად. მთელი ათი წელიწადი ერთად ისდნენ. მეტი გაუვიდათ ყავლი. უმეტარი დამნაშავე გარდაიქცა განათლებულ მოქალაქეთ და შეიტანა მეცნიერების სინათლის შუქი თავის ქვეყანაში... შემთხვევაა ეს თუ არა? შესაძლებელია თუ არა? ეს გახლავთ შესაძლებელი ბედნიერი შემთხვევა, რომელიც არ ექვემდებარება არავითარ კანონს. მთელი ისტორია სავსეა ამ გვარი შემთხვევებით. ყოველი სასულემწიფო გაფაციცებულია თავის ტერრიტორიის გასადიდებლად, სხვა სახელმწიფოების ხელში მოსაგდებათ. ომებში ხშირად მუშაობს შემთხვევა. ხან ერთი საათის სიმარჯვე სკამარისა, რომ დაეცე მოულოდნელად შენს მოწინააღმდეგეს ძილში და სულ აიკლო იგი. თუ არ ეს შემთხვევა, იქნება იმას აკვლად შენი თავი. დიპლომატიაში ხომ კანონს თითქმის არა აქვს ადგილი. ვინც უფრო მოხერხებული და გაბეჯიანა, საქმეც იმას მიჰყავს ჩინსტად. ასრე, რომ უბედური შემთხვევა ისრევე წაახდენს მთელ ხალხს, როგორც კერძო პირს. აქ მარტო ჭკვანა კმარა, რომ ეს უბრალო ისტორიული მოკლენა გაიგოს კაცმა. ცოდნა ხომ, რასაკვირველია, უფრო უკეთ შეამოწმებს მას.

უ. ბოსლექველის გარდა ჩემ სტატიაში ყველანი გაიგებდნენ, რომ ქართველთა ახალ-გაზდებში, რომელნიც იხრდებოდნენ რუსეთში, შემთხვევით მოჰყვა ბუნებით ნიჭიერი ქართველი, ილიკო ჭავჭავაძე, რომელსედაც იმოქმედა დობრო-



ჯიუბოვის და ჩეჩნიშეკის სწავლამა. ამით მე მხოლოდ ვსთქვი:
 ილიკო ჭავჭავაძე რომ არ მოჭეოლდა შემთხვევით იმ ახალ-
 გაზღებში, რუსეთის სინათლე ასე მტკიცედ არ გადმოეფინებო-
 და ჩვენ ქვეყანას, მეტი, მიტომ, რომ სწავლასთან ნიჭს დი-
 დი ადგილი უჭირავს. ილიკო ჭავჭავაძესეც რომ უფრო ნიჭი-
 ერი და გრძნობიერი ქართველი მოჭეოლდა იმ ახალ-გაზ-
 ღების რიცხვში, მაშინ უფრო სპეტაკი ნათელი ჩამოვარდებოდა
 ჩვენში. თითონ ილიკო ჭავჭავაძეს რომ განეგრძო თავისი პირ-
 ველ დაწეებითი საქმე, ესლა ჩვენ ბედს ძალდიც ვეღარ დაჭეოდა.
 იქნება უ. ბოსლევკელმა გაიფიქროს ჩემი აზრი და კიდევ მომიქნი-
 თს კეტი?! რა შენაღვეება, გაქნის — თითონვე გაიჩტყავს
 შუბლში. მარტლაც, განა ქართველებში ილიკო ჭავჭავაძესეც
 გონიერი, ნიჭიერი და გრძნობიერი ვატი არ მოიძებნებოდა?
 როგორ არა, ჩემო პატარა გერგუელსო; მაგრამ შემთხვევამ ხე-
 ლი არ შეუწყო, და შეუბრალეულმა ცხოვრებამ კიდევ მიაბა ან
 გუთანს, ან ურემს, ან ცუფსა და ან წაღდს. ასე ხდება ხოლმე
 «ყოველისთქერი ჩვენ ცოდვილ დედამინასეც», როგორც თქვენ
 იტყვიით ხოლმე, მასვილობით გატაცებულნი... ისიც კი შეიძლე-
 ბოდა, რომ რუსეთის განათლების მოძრაობა ჩვენ ახალ-გაზ-
 ღობასეც ვერ მოახდენდა რიგის ბედ-მოქმედებას. აგურა, აი-
 ღეთ ჭერ ორი მაგალითი: უ. კებელი დღესაც რუსეთშია, უ.
 ბოსლევკელი დიდი ხანი არ არის, რაც იქიდგან ჩამოვიდა. რა
 გამოიტანეს რუსეთის მოწინავე აზრიდგან? პირველმა ის შესა-
 ნიშნავი შეხედულება ქალების დანიშნულებაზედ, რომელიც მამა
 სილვესტროდგან სამკვიდროდ დარჩნათ აკსაკოვ-გატკოვ-სუეოჩინ-
 ნეზლობინებს, და მეორე, ე. ი. უ. ბოსლევკელმა ლუაჩსაბ
 თათქარაძის შეხედულება სამოქალაქო კითხვებზედ: ღემერთა,
 მოჭეული «იმიდია». ამასთან არ დაივიწყოთ, რომ ორივენი

სამშობლოს სახელითა ქადაგობენ თავიანთ «ზრს», რას-
გვარეულია, «ნიადაგისთვის»...

იღ. ჭკუჭკაპისთანა და აკაკისთანა ჰოეტები შემთხვევით
და გაუგებრები ბილიკით არ გამოდიან და არ მოგზაურობენ,
მიქადაგებს გამჭრანხი ბოსდეველი მათ დასატყუადა. (ნეტავი
იმას, ვისაც ამისთანა ძალუმი მწერალი გადაუფარება და და-
ფარავს!) თითქო შემთხვევას შექმლას ვისიმე დამტირებს!
გამოჩენილმა გეტემ რომ შემთხვევით მიაქცია უურადღებს ცხ-
რის თავსა და გამოიკვლია, რომ თავის კენხს არის გაგრძელებ-
ა ზურგის ქედისაო, ამით ვითომ მან უურა არ გაითქვა სა-
ხელი! უდადესმა ნიუტონმა რომ შემთხვევით მიაქცია თავისი
გონება იმის ახსნას, თუ რომელი ძალითა ვარდება სიღვან-
ძირს ვაშლია, და აქედან მიადგა უშველებელ კანონს მიმზიდ-
ველობისას (ЗАКОНЫ ПРИТЯЖЕНИЯ), მე ვიცი ძალიან არ გაუ-
ფუტდა იმას სახელი!... მე ჩემ სიტყვებში არ შემინებია
უნიჭობა გამოჩენილი ჰოეტებისთვის—ილიკოსა და აკაკისთვის.
მე მხოლოდ მწეინს, რომ გონივრულად შევიღს, რომ ისინი
ვინ ადგანან მათ შესაფერ გზას, შესაფერ მიმართულებას,
რომელსაც, ჩემის აზრით, შეუძლიან ჩვენი ცხოვრების გა-
დასათანება. ეს ვითვალ მე ავტორი. გამოვსთქვი ჩემი აზ-
რი... შემდეგში უურა ვრცლად გამოვიკვლიე, თუმცა მანკილი
ბოსდეველისა ვი ძალიან მეშინიან. ეს მე მიმანხნია უდიდეს ვი-
თხვად ჩვენ მწერლობაში. მის რიგიანად ახსნაზეა დამოკიდებუ-
ლი ჩვენი მიმართულების გამოკვლევა და გზა, რომელსაც უნდა
ადგინენ ქართული მწერლობა და საზოგადოება. მე ამას ვფიქ-
რობ, ესა მჯერა, ვცდილობ ამ რწმუნების გატარებას. ძალსა
არავის არ ვატან. მოგწონს, მიიღე ჩემი შეხედულობა; არ მოგ-
წონს—გამამტყუნე, წამომეღსიე უკეთესი შეხედულობა და მე

მართლაც წინდუღათ ვისამ უაჩს დღევანდელ ჩემ შესედულ-
ბასკად. თუ მაინც-და-მაინც ლანძვს გინება გვერდებში გაგვ-
დომია «სანადაგოდ», გამლანძვე, მსოფლიდ აწრი კი წარმო-
სთქვი წამ, ჭკვასთან დახლგვეუღი. სიცრუით კი, სწორე გი-
თხრა, უ. ბოსლგველის შეძლეგ, გელანკან გამაგვირგებს: ამაში
ყოველი ქართველი პირველბას დაუთმობს ძას კეთილ-შობი-
ლურად.

მართლაც, არ დამაჟიწედე! ერთი შესანიშნავი «სახუთიცა»
მასვილი ბოსლგველისა, რომელსაც ამჟამად აქვს ღომისა,
ფიტერატურული მარწოდება კი „დედამთილი სოფიოსი“. «იმედს»
კეთისება — რატომ არ მოგწონს ჩვენი დიდებული მწერლობა?
იქნება იმიტომ, რომ შენ მასზედ უმეტესი და უკეთესი ღვაწ-
ლი მიგიძღვის სამშობლოსადმი! ეს მასვილობის სიაში გას-
ლავთ ჩაწერილი. შე რომა ვთქვა: ფოთი-თბილისის რკინის გზა
მმიმედ ღაიანება და ბუგვად ჩამოუვარდება ამერიკის გზებსა,
მეთქი, — ბრანინი ბოსლგველი მომვარდება პირში და მეტუვის:
აბა, შე ღაწირაკო, შენ გაიყვანე მაგანედ უკეთესი გზა! თუ
არა და ჩხიკების ბუდე ვერ მოგინებებსა, შენ ფოთი თბილისის
გზანედ ღაჰანაკობა!... გამომიქანებს კეტსა და გაირტყამს
შიგ საფეთქელში! ჩემი რა ბრალა, რომ იმას არ ესმოდეს კრი-
ტიკის დანიშნულება? შე შემიდლიან ერთი ჩოხა დავაწუნო. მე-
ორე მოვიწინო; ერთი ხანჯლის სილამაზე გაქო, მეორესი ვა-
მაგო. ეს ჩემ ცოდნასუ, ჩემ გომოსედ, ჩემ გამოცდილებაზედა
ჭკილია. მაგრამ, შემიდლიან ამ დაწუნ მოწინებაში მე ნემსის ხმაჩე-
ბაც არ ვაცოდე, სამჭედურში ორი საათიც არ ვუძვლარვიყო.

ეს, ღმერთო ჩემო, რამდენი შესძლება უბრალო კითხვა-
თი ნიშანს, რომელმაც მართლაც სიცოდავი ბოსლგველი თავში
დაკრულ მამდა-ყინწათ გარდაქცია და წამოაჩოშინა ამდენი

ლახლახი კინტოური ლანძვას, ასეთი რეკონობა! შეძლე ამისა
იმედი ძაქვს, რომ ცოტა გაითლება ჩვენი მასვილი ბოსლეველი
და უკეთ ქერქში ამოჭყდოს თავსა. იქნება მაშინ მაინც აღარ
დამიშალან ჩემსა თანა-მოასრეებმა მის სისხლით გატიგულ
ძარღვებიან მკლავებთან ჩემი სუსტი მკლავებითა შებრძოლებსა,
თუძცა წინათვე გი ვინით, რომ

„ჩვენთა მკლავთადა დასჭამენ თქვენი ინდოთა თხანია“.

სტ. ჭრელაშვილი.

P. S. უ- სიზანოვის სტატია ვერ გავიგიათ, შევნიერო
ბოსლეველო. დაიწინარეთ გული, „შინაურ ლიბერალებს“ იგი
არც ერთს არ უწოდებს აქაურ ზატრიოტებს. ეს არის, თქვენ
გარდა, მტკიცეთა ვარ დაწმუნებული, ყველამ გაიგოს. კვირ
კითხვითი ნიშნის ბრალისა.

შეიძლება კაცი მართლაც „გლასსიგური სისუღელის“ გულა
იყოს, მაგრამ ის გი აქნამდის შეუძლებლად მიგვანხნდა, რომ
ამ „გლასსიგური სისუღელით“ ამაყობდეს ვინმე. მაღსაზმა
ბოსლეველმა ამაშიაც დაგვარწმუნა: „გამარჯვებული სახით აღვი-
არა საქვეყნოთ, რომ „გლასსიგური სისუღელით“ ამაყობას
შეუძლიან დამშვენარს დიდებული „შრომის“ დიდებული ზუ-
ღიციანტები. ამას იქით რაც მოუფლადნელი რამ გეგონოსთ,
„შრომა“ ყველაფერს განიხად გადააქცევს. ცოტა ხნის უკან თა-
მამათ წამოიძახებს თავის სიჩინარის ხმითა, რომ „გლასსიგურ
სისუღელესა“ ჭგონია, ვითომც დედა-მიწა ოთხ დევზედ არ იყოს
დაბჭენილი; „გლასსიგური სისუღელი“ იჭკნეულაბს, ვითომც
მთვარე არ არის მონადირე და მზე გასათხევარი ქალი და
სხ. და სხ. აი იმისი უმეტარი ამაყობა, ის ამბობს: „ჟერ
აბა უური დაუგდეთ ამ კლასსიგურ სისუღელესაც: ხალხი ჟერ

უნდა მთავრდებოდეს და მეტი შემოიღოს მის ცხოვრებაში ახალი წესები, რეფორმები... მე გონივრად, უ. ხიზანოვი უკვლავად მთავრდება, გარდა ამისთანა „მეხისა“. ამას იქით გაგზავნეთ უ. ბოსლეველი გინდა ავსტრალიაში და იქ ერთ დღეს დამაწყობებს ეს გეგმულად ვერცხვიულ წესებს. არც მთავრდება და არც ახალგაზრდა!... რათ უნდათ!... „კლასიკურად გამოსულია“ რეფორმატორს წინ რა დანებება!...

არც შეესება სტრუქტურა, იმას ნახავდით ახალიში მართლად „დატანჯულს“. ძნელია კაცი არ იტანჯებოდეს, რადუნსაც მის სულისა და გულს, აგრეთვე ჭკვას გადააფარებენ ისეთ ფარდს, სამსახურს, რომელიც განმარტობდა მატრე თმა და ფეხის თითები, და რომელიც ჭყარავს დანარჩენ სხეულს!...

ნუკას უკაცრავად. ეგება გეწინათ რამე?! ეგ სულ თქვენი ამაყობის ბრძანა, მე ხელი დამიხანია.

თქვენი უმორჩილესი მონა—ს. ჯ.



«იველის» კორამსკონდენცია.

(სოფელი ურიათუბანი.)

ერთი თელავის მანრის სოფელთაგანი არის სოფელი — ურიათუბანი. ამ სოფელში სცხორებს სამ-ას კომლზედ მამუ- ტეზული ქანთველი და სოჭი. ხაღხი სავმად არის მიჩვეუ- ლი რიგან მუშაობას და ნამუშავრის ანუ მოსავლის შენასვას და გაფრთხალებას. მაგრამ უბედურება ამათი ის არის, რომ მოხელეები სრუფებით არ უვარკათ, მეტადრე უ. მამასახლისი, რომელმაც შეასრულა ერთი ყავლობა და შეარქედ ამოიჩიოს ამ თანამდებობაზედ, რომაც ძალიან მოსტყუებდნენ. ამათ არ უნდოდათ ამისი ხელ-მეორეთ ამოჩივება, მაგრამ დემეტრე და- სწევადოს გაიძვერაობა! ხაღხს ჭქონდა მოლაპარაკება და სხე- შიაც ჭქვანდა სხვა, მაგრამ ეს მამასახლისი ისეთი დახელფანე- ბული და რბილი ეკაღია, რომ მეტი აღარ შეიძლება. შეიტყუო- თუ არა, რომ სხვას ირჩევენო, მაშინვე მიჭყო ხელი ხაღხის მიზიდვას და შეძინებას სხვა-და-სხვა საქმით, მეჯლიშის გამართ- ვით თავის მასლობელ აწნაურთ მესობლები, რომლებს შემ- წვობითაც მართლაც მოეწია თავის მიზანს და ხელ-მეორეთ ამოაჩივინა თავი. ვაი იმ დღეში შენი მტერი და ჩემი მტერი ჩაკრდეს, ჩემო მეითხველა, რა დღეშიაც არის ურიათუბანი ამ კაცის რბილ ეკლიან ხელში. არა გაუკეთებია რა ხეიარანი თა- ვის მამასახლისობაში, გარდა გაცარცვისა, რომელიც შეგვიძლიან

შეკამოწმეთ წამდენიმე მაგალითით პირველი: ქურდობა გინდა, აქ არის, გაცარცვა თუ დაწვა! ერთი კაცის კვალა აკლია ამ სოფელს, თორემ სხვა ყოველივე აქრი მოივითხეთ. რაგორ კვიდება მათ მამასახლისი? ამ პატრონის კაცის ხელში წამდენიმე ქურდი დაიჭირეს და მოიყვანეს, მარტამ რა გამოვიდა! სულ ერთია, ვითომ არ მოიყვანათ: მოიყვანენ ქურდს მამასახლისთან, შესწივლებენ მის დანაშაულს. ესეც ჯერ კანკებ გაუფრადება, მეტე დაიბარებს თავის ნათლია შწეკადეს. რომელი დაუკითხვავთ არ შეუძლიან უბრალო საქმის გარჩევა, რადგან საქმით მამასახლისი არის იმის ნათლია — აზნაური შწეკალი, და არა თითონ. შემდეგ დაბარებისა მოილხაპარაკებენ ნათლია და ნათლის-მამა, თუ რაგორ და რა ნაარად წაიყვანონ საქმე, რომ ერთი-ერთმანეთის ჯიბეები გასწიონ. ესეც ამ რი მიძვერს გაცეზიღვან არ არის ძნელი მოსაგონი. თითონ აზნაური, მისი ნათლია, ხდება შუა-კაცად, ჯიბეს გაწევიანებს მამასახლისისათვის, რომელიც ქურდს გაუშვებს ამ სიტყვებით:

— აბა, რა კენა, რაგორ არ ვუი პატრვი! აზნაურმა მთხარა, თორემ მე ვიცოდი, რაც გეკადრებოდა შენ!

— ბატონო, მამასახლისო, დმერთმა გაცოცხლეს შენცა და რეზიკოც! ახლა მე ვიცი და ჩემმა კაცობამ, რაგორც რთავ პატრვის გრემთ.

რა გაიგებს ამას მამასახლისი, მაშინათვე ცდილობს, რომ იმ კაცს მიაცემინოს წამე რეზიკოსთვისაც და ამ სახით მამასახლისი რეზიკოსთვის და რეზიკო კიდევ მამასახლისისათვის... აი ამ ნაირად ღუშავს სოფელ ურიათუბანს.

მეორე: სადაც რ მძას ცოტადენი შურისძიება მოუვით ურთი-ერთ, მაშინათვე მამასახლისი იქ დაიბდება ამ სიტყვებით:

— ბიჭო, რაზედა ჭკლავთ ერთმანეთს! ლეკები ხომ არა

ხარტ!... ისევე კაცები ამოიჩინეთ და გაიყარებინათ შშიდლობით.

ამათაც ჰგონიათ, მართლაც გუფი სტევიკა მამასახლისის ჩვენთვისაა, და დაეთანხმებოდნენ. რა გაციებს ამათ თანხმობას, მაშინათვე უჩივებს, თავისი ნათლია — რეზიგო ამოიჩინონ შე-
დიატორკო; ხათლია კიდევ უჩივებს, რომ მამასახლისი ამოიჩ-
ნონ ზედამსჯელად. ესენი დათანხმდებიან, ამოიჩივეს ამ შე-
მოსენებულ რა პირს და წავლენ გასაყოფად. პირველათ მიი-
ხედ-მოიხედავენ, — მართლის ქვეტი ხომ არა აქვთ რა. თუ ნა-
ხეს, რომ აქვს, მაშინვე იმის გაყოფას შეუდგებიან. ჯერ ერთ
კარგ ქვას რეზიგო მამასახლისისათვის გადასდებს და მამასახ-
ლისი კიდევ რეზიგოსთვის, დანარჩენს გაჭყოფენ პატრონებს
შუა. მერე მოითხოვენ სადილს. სადილის შემდეგ ეტყვიან —
ესლა დრო აღარ არის, მერე მოვალეთ, რა არის — კიდევ სა-
დილი გამოსტყუონ ამ ჩვენ საწყალ გლეხებს. სადილი კიდევ არა-
ფერია, ნეტავი საქმეს მაინც ათავებდნენ და ჯანი გაჭყარდნოდათ
ერთსაც და მეორესაც — თუნდა ერთ კვირას სულ სადილს გუ-
კეთებდი, მაგრამ სად არის!... გაყოფის შემდეგ წავლენ შინ
გამარჯვებულები და უკან ქვას გადააგდებენ. მართლები ხომ გა-
იკრეს და რა ენადგულებათ! გავა ხანი და ფიქრათაც არ მოაგონ-
დებათ, თუ ერთმანეთს ვინ ამტკრეკდა თავ-პირსა. ამისი მავა-
ლითები ბევრია სულ ცოტა, წელიწადში ათ ქვას მაინც მიი-
ტანს შან უ. მამასახლისი. თუ ვისმე არა სჯერა და ეტკეშია,
ზოგიდეს და ვისიღამაც ჯერი იყოს, გამოიკვლიოს და ჰკით-
ხოს — ჭუჭუის ბიჭებს, ღებრიანთ თადოს, კოდუქანთ ბებქვას
და პეპანანთ ისაკის. ამათ მართლების გარდა სხვაც ბევრი რამ
გამოაჩივებს, მაგრამ ვინ არა მომკითხავი — რაც უნდათ,
იმას იხმენ.

მესამე: უნდა მოგახსენოთ, რომ რაც სხვა საქმეში ისა-



ხელა და თავი იზინა მამასხლისმა, სკოლის საქმეშიაც ისეთი ბიჭია. ჟერ სულ პირველად რა ნაირ საქმეს ხმარობდა სკოლის დაბრკოლებებზედ!... შარშან უფაღმა ნახალნიკმა უბრძანა, რომ სკოლის შენობა გაეკეთებინა, მაგრამ შენ არ მომიგვდე, ჩემო კარგო მეითხველად, რომ ამან ისე უფრო არ მიუჯდო ამ საქმეს, როგორც შენ. ამ სკოლის მასწავლებელი მოვიდა აქ პირველ რეპტომბერს და მოუტანა თან ნახალნიკიდან ბრძანება, რომ ამასთვის ყოველივე მოთხოვნილება აესრულებინა. მაგრამ რა გამოვიდა! — ამისთვის სულ ერთია. იმ დღეში ჩავარდეს ჩემი შტერი, რა დღეშიაც ჩავარდა აქაური სკოლის მასწავლებელი! ჟერ გასჭირდა სახლის შოვნა სკოლისათვის, მერე სტოროჟისა და ზედ მოჭყვია შემის მოტანა. სკოლისათვის, როგორც იყო, იშოვნეს სახლი და ერთი წლის ქირაში გადააკეთეს, აქაური მღვდლის ი. ჩეკურავის შემწეობით. სტოროჟისას სხვა საქმე, სტოროჟი! სტოროჟის დაყენების დროს მამასხლისმა ხალხი შეკრიფა და უთხრა, რომ «უნიტელს» სტოროჟი უნდა მივცეთო» და თან ისიც დაატანა, რომ „რა ვქნაო. კარგო, მართალია ძაღლიან გვაწუხებს ეს რხერი სკოლა, მაგრამ უნდა მივცეთო“. წავიდა, თითონვე ამოიჩინა ერთი ჰატარა ბიჭი და თქვა: «წავალ, ამას მიუყვან, გინა დაიჭიროს, გინა არა, იმის დარდი არა მაქვს» მასწავლებელიც იღებს — რა მენაღვლება, თუ ვი აასრულებს სტოროჟობის საქმეს, სულ ერთია, დიდი იყოს თუ ჰატარა. როგორც სტოროჟი მოიყვანა მამასხლისმა, რომ რა გაეკეთებინა! სკოლას ეს ვერ ასუფთავებდა, წყალი ვერ მოჭქონდა, შემას ვერა სჭრიდა და ფეხებს ვერ ასურებდა. ეს კიდევ არაფერი, მაგრამ მაგარი ეს არის, რომ მამასხლისი ფულებს არ აძლევდა სტოროჟის, თითონ სჭამდა და იმას ცარიელს სჭამდა. ისიც შეჭყურებდა დღეს, ხვალ... იმედი გაქდაუ-

წუღებოდა, ადგებოდა და გავიდოდა სკოლიდან, ასე, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში სამი გამოცემა აღაშენებელი მაშეხით; თუმცა ერთი ან იყო ხეივანი, მაგრამ მასწავლებელი იყვანდა, რომ სოფელი ან შექმნილია მოზრდილი გაცის დამოკიდებულებით. ერთი ესტატი ჰყავს მუშაობის ბაგ-შვის ოდენი სტრუქტურა, თუ სოფელი მანცა გაიტანა ამ მან-სახლისის სკოლაში, მაგრამ ანა მგონია, და თუ გაატანა ბოლო, ეს მიეწერება სტრუქტურის სიემსწვილეს და უზატონობას. ესენი კიდევ არაფერი, შეშის მოტანა გაძნელებს: ნომბრის ხუთში თუ ან ვატი შვიდში, მობრძანდა ინსპექტორი — ხითაროვი და უბრძანა მამასახლისს, რომ მოეტანა შეშა და საყენები ჩაეღვა. ამანაც თანხმობა მოახსენა — «ატონი ბრძანდებიო». ნეტავი ბატონობა კი ანა, უმობა ეთქვა და შეშა კი მოეტანა. მოეტანდა ორი დღის სამუროს შეშას, იმანაც საწყაჯ გლეხს მოსტატებდა ცუცხლზე ნადებ მუგუსლებს და ამ ნაირათ სწუხდებოდა გლეხი და იმიტომ ძნელებოდა სკოლის გამართვა და რიგზედ წაყვანა. ეს შემოხსენებელი ორი დღის სამუროვი შეშა დაიწკებოდა და შერე ერთი კვირა, ხან ორიც, უმაწვილები სიცივიით ინტერედინენ, და, რაც შეეძლო, მთელი ტანით განკალებდინენ. რამდენიც მასწავლებელი ნახაღნივს მასტრედა რამოტს, იმდენი მამასახლისი მოახსენებდა ნახაღნივს, რომ მივიტანო. მიიტანდა რას!? ზევით ან მოვასხენეთ — ორ ზურგ შეშას, და იმანდა — შეშა მივიტანო. ასე და ამ ნაირად ანას აქაური მოხელე სოფელზედ ურე მიგდებულა. ან ვატი, როდის შეკვესწრობით იმ დროს, რომ შერეად ამოხრევა მოვიდეს! ეგები რეგოტმე მოუძოტდეთ ამ გაიძვერა პირს, რომ ამით მოისპონ შემოხსენებელი შოქმდებანი.

ურიათუბნის გულშემატკივარი

X უინაური მიმოხილვა.

თავად-აზნაურთა კრების თაობაზედ.

ბევრი სიმსვილე დაისარჯა ქართულ მწერლობაში იმ ტემასზედ, რომ ჩვენი ცხოვრება მეტად უფერულია და ამიტომ შინაური მიმოხილველის კალამს არ ამლეკს მასალასაო: აქეთ გაიხედავ, — შენ გასტეკებულ თავს ეჩხირება არაფრობაო; მეორეს მხარეს მიაქცევ მხედველობას — იგივე არაფრობაო, და სხვანი. მაგრამ ეს მხოლოდ მახვალობაა და ისიც მახვილობა ძალიან დაბალი ხარისხისა. მართლაც, ვერ ერთი კაცის შინაგანი სულის მოძრაობას, თუ შეუძლიანთ შიგ ჩაიხედონ ღრმათა, ვერ ასეჩხებენ ძირიანად დანატონ და რთვორ შეიძლება, რომ მთელი ხალხის სულის კითხვა ისეთს არაფრობას შეადგენდეს, რომ იქ კაცმა ვერ იპოვნოს საყურადღებო მასალა? ალბათ ეს კითხვა არ ვის მოსვლია თავში, თორემ შემო-მო-ყვანილი სიმსვილე თავის თავად გაქარწყლდებოდა, და მახვილი შინაური მიმოხილველნი აღვიარებდნენ, რომ ჩვენი უმეცრების გამო არ ვიციოთ, რაზედ ვილაპარაკოთ, რა დავინახოთ ჩვენ ცხოვრებაში, რაზედ გავჩუმდეთ და სხვანი. ამ დროს უფრო შესაფერის იქნებოდა რხუნჯობა თავის-თავზედ; და არა ჩვენ შინაურ ცხოვრებაზედ.

ჩვენ არ გიცით ჩვენი ქვეყნის ცხოვრება და არც გვინდა იმისი შესწავლა. მიხეზიც ასეთი ჯიუტობისა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენა გვეგონია, ვითომც ყუჩაღების ღიჩისა მარტო ისეთი ცხოვრება, რომელსაც მიუხედავად თვით-მმართველობამდის, სადაც არიან გამართულნი ჰანჯარები, თავისუფალი წეს-ბეჭედა, უნივერსიტეტები, ერობა, მეცნიერების ტაძარი და სხვანი. სადაც არა სუფევს ხალხის წარმომადგენლობა, არა მოიხვეპიან ჩამოვლილი საგნები, იქ აღარც ცხოვრებაა, აღარც ღიჩს მისი შესწავლა და მარტო ხმის ამოღება. რაგორც ატყობთ, ამ ჯიუტობას ძალიან მიმხედველი საძირკველი უმოხვია. სხანს, რომ ჩვენ საძაგლობით ვი არ მოგვდის თვალბინ დახუჭვა ცხოვრებაზედ, არა, ჩვენა გვეგონია გულში ჩამარხული იდეალი უკეთესი წყობილებისა და ამ იდეალთან, რასაკვირველია, აღარ გვეჭმინაგება ჩვენი უფერული ცხოვრების უკეთესი მიმდინარეობა. ეს ძალიან კარგი და ჰატირისანი. ისეთი კარგი და ჰატირისანია, რომ ჩვენ, თუ გვინდა მსწავლულთა შორის ვიციცხებოდეთ, უკველად უნდა ცხვირი ავიტრუგოთ ჩვენ ცხოვრებაზედ, დაუძინოთ მას უმინარსოს, უარსოს სასული და ხელი დავიხანოთ — ანა რა არის აქ ჩვენი კაღმის ღიჩი, თორემ განა არ შეგვეძლო მოსაზრებარა! თუ არ ასეთი დარდიმანდული ამყობა, ვაი თუ უმეცრები დაგვიძახონ!... ვაი თუ დაგარდნილ მწერლებათ ჩაგვთვალონ!...

მაგრამ ის ვი გვაგვიწყდება, რომ ჩვენ, ავით თუ კარგათ, მანც ვცხოვრობთ. ცხოვრება კიდევ ისეთი რამ მანქანაა, რომ იმაში ბევრი სინარულიც მოიხვეპება და უფრო ბევრი ტანჯვაც. და რაც უფრო ცხოვრება დაბალ წერტილზედა სდგას, მით მოძებრებული, მით უდიდესი ტანჯვა ტრიალებს შიგა და ნაკლები

სიამე. ამასთან ჩვენ არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ცხოვრება მარტო მაშინ შემდგარა წარმატების გზაზე, როდესაც ამ სიხარულსა და ტანჯვას გაუმართავს ერთმანეთში ყველასათვის დასახარავი შეტაკება. მანამ ისინი არ დასჯახებიან ერთმანეთს, არ გაუმართავს სასტიკი ბრძოლა, მანამ კაცობრიობა კვლურ მდგომარეობას ვერ გამოხსნის, ეს არის შინაარსი კაცთა ნათესაობის ისტორიისა. ეს შეადგენს მის დედა-აზრს, მის ჭეშმარიტებას. ყოველი ისტორიული ხალხის ცხოვრებაში ამ შინაგან ბრძოლას უჭირავს მკვიდრი ადგილი. მხოლოდ ჩვენისთანა ბრმა ლიტერატორებს არ უნდათ მისი დანახვა, არ უნდათ მისი შესწავლა და არა სწამთ, რომ ცხოვრება მარტო მაშინ გაუგოვსდება და შეიძენს სანატრელ მხარეს, რომელიც შეადგენს ჩვენი იდეალის ღაზათს, როდესაც ამ შინაგანი უმთავრესი ელემენტების შეტაკება საყოველთაოდ გაშლის ფრთებს. ცხოვრება დაუღალავი ბრძოლაა. სადაც... ბევრგან ცხოვრების ბოროტებასთან ბრძოლაში მწერლობას დიდი ამაგი აქვს. როგორ შეებრძოლები ბოროტებას, თუ არ იცნობ იმას და არც გინდა მისი გაცნობა. თუ არ გინდა ბრძოლა, მაშინ, რასაკვირველია, შენთვის წამოწევი ღამაზ ჩრდალშია და მიეცევი ოცნებას გინდა ჰარლამენტზე, ვინდა სოციალისმზე, ებ სულ ერთია. შენ ოცნებას ცხოვრებაში არა აქვს მნიშვნელობა. შენი ოცნება შენს იქით არაფრის მანქანაა. მაგრამ თუ დაუჭერელად ეძლევი ამ ოცნებას, გამოხდინარ ცხოვრების ასპარესზე და თავი შეებრძოლი გონისა შენი ოცნების გამოაშკარავებთ, უნდა გადაწყვიტოთ გითხრა, რომ შენი ოცნება ცალ ფულსათაც არა ღირს. ქადაგება ჩვენი ცხოვრებისათვის გამოუსადეგია — მითომ კედელს ცერცვი შეაყარო. მგლის თავზედ რომ სხარება წაიკითხო, გეტყვის — გამიშვი, ბატონი ტყისკენ წავიდაო. ჯერ



უბრალო შევიწროებულ ერობა რა არის, მაგრამ ჩვენი თავად-
 აზნაურების უმეტესობა იმაზედაც კი უარსა შერება, ეს უწინა-
 ნა თვით მოქმედება, თვით-გამბეობაც კი ვერ უშვდენია—ღამა-
 ცათ, ტუისკენ ბატონა მიდის! აქ, ამისთანა გარემოებაში, რას
 იზამ, თუ რიგიანათ არ შეისწავლე ის ღრმა მიზეზები, რომ-
 ლებიც ჩვენ არ გვაძლევენ ნებას ჩვენი საჭიროების გასაგებათ!
 ინმარა ძალა და მოახვიო თავს უკეთესი წესები? დიდი პეტრე
 გენიოსი იყო, მაგრამ აქამდის რუსეთის უმრავლესობა დიდ
 უკარსედა სდგას მისი მტრობადენი ცვლილების შემოღებაზედ.
 ძალით დანერგული—ცოტა რამა ხეირობს კაცის ცხოვრებაში,
 თუ თითონ ხალხი არ ელტვის თავის მალამოს.

ამიტომ ეს უნდადღე ჩვენ უმთავრეს მოთხოვნადგებას შეად-
 გენს ჩვენი ცხოვრების გაგება, მისი აკან-ჩაკანის შეტყობა, მი-
 სი სულის ვითარების შესწავლა. და ეს კიდევ ისეთი დიდი
 შინდროია, რომ ბევრი ქართველი შინაური მიმოხილველი მო-
 იტეს კაღმის წვერს, ვიდრე მწერლობაში გამოიკვლევა საფუ-
 ძვლიანი და უტყუარი შესუდულობა ჩვენ ხალხზედ. აქ მასალა
 უშველებელი და ხელ უხლებელია. მანამ ჩვენ ამ მასალას ვუყუ-
 რებთ ცხვირ ატრუკვითა და ამაყათ, მანამდისინ, რაც გინდა ძა-
 ლიან ვიმხვილოთ, არა გამოვა რა ჩვენი ობუნჯობით, და რა-
 კი მას შეკუდებოთ მოწინებით, სინდისიერათ გადავაქეთებთ
 იმას, მაშინ, უტკველია, გინდა რომ არც ვიოხუნჯოთ, მაინც
 მწერლობას ექნება აზრი და ეს უკანასკნელიც გამოხადეგი შე-
 იქნება თითონ ჩვენი ცხოვრებისათვის.

* * *

მაშინ, როდესაც ქართული მწერლობა აღიშინებოდა სიმაღ-
 ლიდან დასცინოდა ჩვენ ცხოვრებას და ვერასა პოულობდა იქ
 საყურადღებოს; ამ დროს თითონ ცხოვრებაში ხელ-ნელა, გა-

კუნით, მუშაობდა საზოგადო აზრი—ვიყოთ, თუ არა? გაითხავდა იგი. ამის პასუხათ მუდამ ისმობდა—ვიყოთო. მაგრამ რატომ უნდა ვიყუეთო? რის მანქანები ვართო? რაში გამოვდგებითო? ამ კითხვებზედ იმტკრეკვდა თავს ჩვენი ცხოვრება და აგერ ერთ მშვენიერ დღეს, მაისის დღიას, როდესაც ყოველისთვის სიცოცხლეში მოდის და იმედებით ხარობს, ამ ნეტარს დღეს მოგვადგა კარზედ ჩვენი ცხოვრება თავის გადაწვეტილი პასუხით. მწერლობის მიერ უხელმძღვანელოდ, მარტო თავისი ზოგადი აზრით, მიუხედავად მას ერთ უშველებელ დასკვნამდის, უცნაო თავისი ჭიჭი და უზოგნაო მისი უებარი მალამოცა: თუ მამები ვერ გამოვდებით ცხოვრებაში, ვერ მოვიმსმართო სასარგებლოთ ჩვენი ჯანი და ღონე, ვერ დავატყუო ნიშანი ქვეყნას ჩვენი აქ ყოფნისა, როდესაც ახალ-გაზდობაცა და შეძლებაც მოგვადეკნენ, — ესეა, უკანასკნელ დროს, სამარეში მანც წავიტანოთ ნუგეში, რომ ჩვენი შვილები სწორე გზაზედ დავაყუანოთ ეს გზა ჩვენმა ცხოვრების ტრიალმა იცნო განათლებასში. მთელმა თავად-აზნაურობამ ერთხმად გადასწვეიტა, რომ სამშობლო ქვეყნას და თითონ ჩვენ საკუთარ პირფენებას ეშველება მხოლოდ სწავლით, მეცნიერებას შეცნებით. სხვა სახესარი და ღონე არ საიდგან სჩანსო, ჩვენი მშველელი სხვა ადარა არის რაო.

განა ბევრი ხანი გასულა მას შემდეგ, რაც ჩვენში შეფობდნენ ლუარსაბო თათქარაძის აზრები? სწავლა დღე-განის ხელობაო, ამას არ ამტკიცებდა ჩვენი შინაური ვითარება, საზოგადო შესედულობა?! განა ბევრი ხანია მას აქეთ, რაც მკუფებდა ცხოვრებული თათქარაძე? მას აქეთ სულ ათი-თორმეტი წელიწადი არ გასულა, რაც ჩვენი ცხოვრება უარ-ჭყოფდა მეცნიერებას, არ ამდევდა მას არავითარ ადგილს თავის ჩაჩხის

ტრიალში. ჩვენი ცხოვრების ფორმულა გუმინ-წინებში ჩამჯდა-
 რი იყო უწინდებურ კალაპატში: კაი ცხენი, მჭრელი ხმალი,
 მკაცრი მკლავი, შეუპოვარი გული, და კაცი ხარ პირველი, ბიჭი
 ხარ ჩათუქსანი, ჩასმანდური და სხვანი. ჩვენი ქვეყნის პირვე-
 ლი წარმომადგენელი ლუკასაბ თათქარაძე ბრძანდებოდა. უკ-
 თესი მამულის შვილი გამწარებულნი იყვნენ ამისთანა მოკლე-
 ნით. გულს გვიხეთქავდნენ თათქარაძის მახინჯი სახითა, თვა-
 ლები გვტვირთდა მისი დანახვით. მწერლობა შედგა ამ უბედურ
 სურათზედ, და ჩვენ მოსწავლე საზოგადოებას აქამდის ეგონა,
 რომ ცხოვრებაც იმავე წერტილზედ არის განხერხებული, რომ
 თათქარაძე ისევე თავისებურათ, უდარდელათ ბოლთასა სცემს,
 პერანგისა და მის შემდეგის ამაჲს, მადლ-ქმეობანი, თავის
 მოღობილის წინ, ისევე ისე არხეინათ გომელს უშეგებს თავის უა-
 ლიონიდან და შეჭურვებს გულს-მოდგინეთ — აცა, სადამდის
 ივლის ეს ბოლიო, — რომ თათქარაძე თავისი ძვირ-ფასი დარე-
 ჯანითურთ ისევე სთვლის, გამწარებული, ჭერში ბუხებს, ისევე
 ეჩხუბება თავის მეუღლეს ბოზბაშის უკეთესობაზე სხვა წინა-
 ნებში, ისევე გათქმულ კაცად ითვლება, იმავე ლურჯი კაღმუხის
 ქედით მიემგზავრება თელეთში, ისევე აზგარიშები აქვს უფალ-
 თან გასასწორებელი და სხვა, და სხვანი...

მაგრამ აკერ დადგა მაისი 1882 წლისა. ჩამოვიდნენ
 თბილისში გუბერნიის თავად აზნაურები ამოჩხვებისთვის, და
 რა მოგვიტანეს? — ჩამოგვიტანეს ბეჭი და ძალიან ძვირ-ფასი
 საბუთები, რომ იმათ მუქთად არ ჩაუტარებიათ ეს ათი-თორ-
 მეტი წელიწადი, რომ იმათ არა სძინებიათ საზოგადო საქმეებში,
 რომ იმათ უცხოვრიათ, და არა ყოფილან უძრავი, მკადრები...

მართლაც და, ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობაში მეტათ
 მოულოდნელი და შესანიშნავი ამბავის მოწამენი გავხდით ჩვენ



ამ აზნაურთა ამოწმებების დროს. ჩვენ ამჟამად, თავადავნი-
დავინახეთ, რომ ლუარსაბ თათქარაძის ხსენებაც კი ამოვარდნი-
ლა ჩვენი ქვეყნიდან, სულთან სოლომონის გამქრალა მისი უღირ-
სა და სამარცხვინო ბრწყინვალება, — ჩვენ სამშობლოში დაბა-
დებულა საზოგადო აზრი, რომელსაც შეუძლიან ჩვენი მოღო-
ნიკრება და ფეხზე დაუქნება, — სინათლეს გამოეუზნავნა ჩვენგან
თავისი შუქი და ღრმით ჩაბუჭდილა იგი ჩვენ გულშია და გარე-
ბაში — უნდა გავანათლოთ ჩვენი შვილები, მარტო აქ არის
ჩვენი ცხოვრების ხსნაო.

ეს არის ძვირფასი დოკუმენტი ჩვენი სულის მუშაობისა...
კაცო! ლუარსაბი, ის ლუარსაბი, რომელიც ისე შესანიშნავათ
«აჭირებდა ფეხსა» და თავი უდიდეს ზიარად მიანდა, არ გვეუ-
თხებოდა, რომ კაცს თოფი, ხმალი, ცხენი და მკლავის შეტი
არა უნდა ზაო! სად არის ეს გამოჩენილი და გამობრწყინვებუ-
ლი თავადიშვილი? რატომ ესლა არ წამოადგება და ამოდენა
თავად-აზნაურობას არ დააჩვენებს — სწავლა რა ჩვენი საქმეა —
წიგნი ლეჩქანშია უნდა დაიჭირებს ხელშია?!...

ეგ რად გინდათ! ლუარსაბის მუურობის დროს მთავრო-
ბას რის ვაი-გაგლანით მიჭყვანდა ქართველის შვილები სასწავლე-
ბელები. ესლა? — ესლა თავად-აზნაურობა ესვეწება იმავე მთავრო-
ბას მუნღ-მოდრეკით: შენი ჭირივე, მომეტი ნება, რომ მო-
ხარვე გავხდეთ, შევიწრო გადასახადი ფული, შევადგინო თანხა
და ამ თანხის სარგებლით გავმართო სასწავლებელი, სადაც ჩემ
შვილებს ექნებათ ნება, რომ ფეხი შესდგან მეტნიერების ტაძარ-
შია...

აი, როგორ რადიკალურათ გამოგვიღილა ჩვენი ცხოვრების
ფორმულია! თოფი, ხმალი, ცხენი და მკლავი გაცუდებულან, აჭ-
ყრით პატივი და დაუთმიათ ადგილი ერთი საგნისათვის — გა-

ნათლებისათვის, ჭკვისათვის. ცხოვრებას უზოგნია ახალი ფორ-
მულის სათაური...

მე არ ვაჩემობ, რომ ვითომც ამით კაცობრიობის წარმა-
ტებაში დიდი ნაბიჯი გადადგამს ჩვენ ქვეყანას, მეთქი. არც
იმას ვაჩემობ, რომ ჩვენ ამ გზით ხელ-და-ხელ გავიმთელებთ
ჩვენ იარაღსა, მეთქი. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ ჩვე-
ნი გარემოებანი საშინლად გამომცველიან და ჩვენ ვი ასე გვე-
გონა, რომ ისევე უწინდელი, თათქარიძის დროინდელი, ჭკრითა
ვსურნთქავთო. მანამ ცხოვრებამ თითონ არ გადაგვიშალა თავისი
გული, მანამ ჩვენ მწერლობას სრულებით შემცდარი წარმოად-
გენს ჭქონდა მასზედ.

დიდათ საყურადღებო და საინტერესო იქნებოდა ჩვენი
მწერლობა, რომ მას ედეკებისა თვალ-ყური ჩვენი ცხოვრებისა-
თვის და გამოეხატნა თავის სახეზედ სამშობლო აზრის მუ-
შაობა. დიდათ საინტერესო არის, დღესაც, რომ საზოგადოებამ
იცოდეს, რომელი მანქანების ძალით მოიძიონ თავიდან ბურ-
ჯუბი გამდგარი და მკვიდრად დაარსებული, წითური ლუარსაბ
თათქარძე? რამ უშეუღა და გამოადამიანა ჩვენი ქვეყნის უმრავ-
ლესობა?! რამა და როგორ გამოუთხარა ფეხები ჩვენ ლუარ-
საბს და ზინუზე დასცა ძირს კაცი, რომელიც ასე გულს-მოდ-
გინედ და ბეჭითად აჭირებდა ფეხს» დედამიწაზე?! ამასთან
ჭკრ ისიც ვი საინტერესო იქნებოდა, თუ რა ნაირათ დაეცა
ძირს ლუარსაბი? უარფუნივით განზო ამ დაცემში, თუ უფრო
კვერცხივით? მეტი როგორა სდებოდა მის მოადგილე ახალი
არსება და ბოლოს როგორ მოუხდა მას ლუარსაბის სამკვიდ-
რო?...

ამ სახით, შინაური მიმოხილველისთვის ბევრი მასალაა გა-
თვანტული ჩვენ ცხოვრებაში, არა მარტო სწავლის შესახებ,—

აგრეთვე უნებოთი აწსებობისა, ჩვეულებების, ეკონომიური მიმოხილვისა, მმართველობისა და ბუკნიც სხვანი. ეს მასდა შეადგენს ჩვენი ხალხის სულიერ საჩინოს. მასზედ ვარჯიშობს სამშობლო აზრი და ამ ვარჯიშობას, (მხოლოდ ამ ვარჯიშობას) შეუძლიან ჩვენი მდგომარეობის გალახათიანება. მარტომ ამ შინაურ ვარჯიშობასზე დათუქმებული ყოველი ხალხის წარმატება. ცარკანი სიკეთე მხოლოდ მაშინ მიუდგება ხალხის მდგომარეობას, როდესაც იგი მკვიდრად დამყარდება შინაგან მოთხოვნილებასზედ, როდესაც იბუნის გზას ხალხის გულთან. თავი და თავი — გულისა და სულის თვისებაა. იმისადაკვლად უნდა ეზავებოდეს ცარკანი სიკეთე. ვინც ამ გზას გადაუდგება, იმან წინათვე უნდა იცოდეს, რომ მისი მოქმედება და წყლის ნაყვას ერთმანეთს შორს ვერ წაუყვან.

ჩვენებური მიმოხილველნი ვა ჭეიქობენ, რომ მანამ აქაც არ გახნდებიან გამბეტები, პალმერსტები. ჯონ-როსელნი, გლანდსტონები, ბიკნსფილდები, სინამ არა დიხს ჩვენ ცხოვრებაზედ ლაპარაკი, სინამ არა არის რა საუკრადლებოვო. გუბერნიის მარშლის ამოჩევის წინ, არამც თუ უ. ჩოლაყაშვილს, თითონ გამბეტასაც დაუყვირებდა ჩვენი თავად-აზნაურობა და ხმას არ ამოალებინებდა იმ უბრალო საგანზედ, თუ რა გააკეთა უ. მარშალმა სამი წლის მარშლობაში, რა მოეთხოვება გუბერნიის მარშალს და ვისი ამოჩევაა სამჯობინო. ილია ჭავჭავაძის გულები დაუქდათ, როდესაც იმან განიზრახა საუბარი უნებოთი მოვალეობასზედ — იკუსმჯდომარემ პირში ბურთი ჩაუღო კაცსა. გამბეტას რომ მშვენიერი ქართული ენით ამოელა ხმა ამ საგანზედ, დაწმუნებული ვარ, რომ მთელი თავად აზნაურობა, თავის კრების სტორიებით ჩემ-ჩემათ განაპრობდნენ. ხალიდჯან სიტყვის სათაურშივე, ასე რომ საწყალი გამბეტა დაჩეხებდა მარტომ-



მარტო ზაღაში და კედლების მეტი აჩვენდა ეუფლებოდა მს-
 შენელი—იქნება, ქალები კი არ ამდგარიყვნენ სკამებიდგან, რად-
 გან სოციალში ადგილი ცოტა ჰქონდათ, ზაღაში მათ აჩვენ
 უშეუბრა, და, ვაი თუ შენე კვლავ შოვნათ ალაგი! ჩვენი გამ-
 ბეუბრადეს უ. კიგო ჩოლაყაშვილი განლაგსთ. ჩვენი ბროლი უ.
 ს..... ჩვენთვის დღეს ესენი უფრო გასაგებნი არიან და
 ამათ უფრო მნიშვნელობა აქვსთ. რასაკვირველია, რამდენათაც
 უ. კ. ჩოლაყაშვილი სისამოგონო შთანჭედილებას ახდენდა
 თავის მასვილი ენით, იმდენი უ. ს..... უსამოგონოთ
 იჭერდა თავსა. მაგრამ ამათ ორთავს გულის-მგერით უსმენ-
 და საზოგადოება. ჩვენი კავ... — უ. ციციშვილი ბრძანდებოდა,
 რამელიც იმასოდა—ერობა სარჯს მოგვიმატებს, სხვა არა სი-
 კეთე არა სჭირს რაო, და იმის ლაზარაკი ბეგრს ძალიანაც დაუ-
 ჯდა ჭკვაში. რაც შეეხება უ. ზ. ანდრონიკაშვილს, იმას მთელ
 ისტორიასში მარტო მიჩანოთ თუ შეედრება, თუმცა იმასი დარ-
 ბაისლური ლაზარაკი მოგაკონებსთ «განცა ადამიანიდგან შესანიშ-
 ნავ თავადის წერილს: «რამელიცა რამელ ესე იგი რათამცა
 ჩვენ გადაწვიტეთ... და სხვანი, მაგრამ მიჩანოთ ლაზარაკობდა
 „განცის სიმართლეზე“ და უ. ანდრონიკაშვილი კი იმასედ, რამ
 გლეს-განცის დეგერძობა ჩვენ კეთილ-დღეობას შეადგენს, ამი-
 ტომ უნდა გვინდოდეს მასი სიკეთეო. მართლაც „ღიბეჭაღურ-
 მა“ ამ სიტყვებმა აღტაცება ჩამოგდეს კრებაში... ასეა ხალხთა
 ცხოვრების მიმდინარეობაში...

ტატალა.

უძთაგრესი კორექტურული შეცდომილებანი:

1, «იმედის» შესამე ნომერში — სტატიაში — „დამტკრეული
ოცნებანი“ 67 გვერდზედ, 14 სტრიქონშიდ დაბეჭდილია:
ახალ-გაზდობის, — უნდა ყოფილიყო: ახალ-გაზდის.

2, მეოთხე ნომერში სტ. — «ზოლიტიკური ცსოვრებიდ, ან»
99 გვერ. სტრ. 19 დაბეჭდილია: შიშა და შურის ძიებას,
— უნდა იყოს: სისხლსა და შურის ძიებას.

კორექტორი.



1882 წლის ჟურნალ „იმედზედ“ ხელის მოწერა მიიღება ქ. თბილისში — მხოლოდ რედაქციაში, რომელიც იმყოფება კუკიაში, მეორე თუმანიშვილის ქუჩაზედ, ნემენცების სასაფლაოსთან, № 12.

გარეშე მცხოვრებელთ შეუძლიანთ დაიბარონ ჟურნალი ამ აღრესით: **Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго журнала «ИМЕДИ».**

ფასი წლიურის გამოცემისა	გაგზავნით სხვა ქალაქებში და თბილისში შინ მიტანით	— — —	8 მან.
ნახევარი წლისა	— — — — —	— — —	4 მ. 50 კ
სამი თვისა	— — — — —	— — —	2 მ. 50 კ.
ცალკე ნომერი ღირს	— — — — —	— — —	1 მ.

ვისაც ჟურნალი მისდისთ და სკედრი უგული ჯერ არ შემოუტანიათ, ვთხოვთ მალე გამოკვანონ.

ვისაც რომელიმე ნომრები ჟურნალისა არ მისვლიათ, ან არ მიუვიდესთ, ვთხოვთ გვაცნობონ და დაკარგული წიგნები გაეგზავნებათ ხელახლად.